645
1987



# საქართველოს ქალი

3
1987

ISSN 0321-1509

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქალიშვილის პორტრეტი. დ. იაკობაშვილის ფოტო

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# გილოცავთ 8 მარტს!



პირველი მილოცვა.

დ. იაკობაშვილის ფოტოეტიუდი

# სადღეისო ამოცანები

იანვრის ბოლოს გაიმართა საქართველოს პროფკავშირთა XVIII ყრილობა, რომელმაც დასახა პროფკავშირული ორგანიზაციების მრავალმხრივი საქმიანობის გარდაქმნის კომპლექსური გეგმა. ყრილობაზე მთავარი ყურადღება გაამახვილეს იმ საკითხზე, თუ როგორ გააძლიერონ მშრომელთა ამ მასობრივი ორგანიზაციის როლი და პასუხისმგებლობა სკკპ 27-ე ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

ყრილობაზე საანგარიშო მოხსენება გააკეთა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ვიქტორია სირაძემ.

ყრილობის შემდეგ ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა პროფსაბჭოს თავმჯდომარეს ვიქტორია სირაძეს და სთხოვა ეპასუხნა სადღეისო ამოცანებიდან გამომდინარე ორ კითხვაზე.



— ყრილობაზე მკაფიოდ გამოიკვეთა ის აზრი, რომ პროფკავშირების მუშაობაში საჭიროა არა ძვრები, არამედ გარდაქმნა, პრინციპულად ახალი მიდგომა, როგორ გესახებათ ეს გარდაქმნა?

— ყრილობისადმი პროფსაბჭოს ანგარიშს გარდაქმნის ძირითადი მიმართულებები ვუწოდე, რადგანაც ვხელმძღვანელობდი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებით. პლენუმზე ხომ ითქვა, რომ საწარმოო და სოციალური საკითხების გადაწყვეტაში უფრო აქტიურ პოზიციას უნდა ადგნენ პროფკავშირული კადრები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრის მიერ ახლახან მოწყობილი სოციოლოგიური გამოკითხვის მონაცემებით, ყოველმა მეხუთე გამოკითხულმა (ხოლო ზოგიერთი პოზიციის მიხედვით, — ყოველმა მესამემ) უარყოფითად შეაფასა ადგილობრივ ხელისუფალთა, სამეურნეო და სხვა ხელმძღვანელთა, მათ შორის პროფკავშირულ ხელმძღვანელთა საქმიანობა.

როგორც მოხსენებაში აღვნიშნე, ჩვენი კანონმდებლობით 70-ზე მეტი პოზიციაა გათვალისწინებული, რომელთა მიხედვითაც სამეურნეო ხელმძღვანელებს არა აქვთ უფლება მიიღონ გადაწყვეტილება პროფკავშირულ კომიტეტთან შეუთანხმებლად. საჭიროა ამ უფლებების სრულად გამოყენება საქმიანობის ყველა სფეროში. დღეს არსებითი ცვლილებები ხდება, ინერგება მართვის ახალი მეთოდები, რამაც უნდა უზრუნველყოს ხარისხი, გეგმებისა და ვალდებულების შესრულება, სოციალისტური შეჯიბრების, როგორც წარმოების მართვის ერთ-ერთი ფორმის გამოყენება.

დღეს ყველანი ვემზადებით იმისათვის, რომ ღირსეულად შევხვდეთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავს, ვკისრულობთ ახალ ვალდებულებებს, მაგრამ ამ დიდმნიშვნელოვანი თარიღისათვის გეგმის შესრულება ცოტას ნიშნავს, მთავარია ყურადღება იმაზე გამახვილდეს, თუ როგორია შრომის ნაყოფიერების ზრდა, საწარმოო და ტექნიკური დისციპლინა, პროდუქციის ხარისხი, მატერიალური და ენერგეტიკული რესურსების რაციონალური გამოყენება, თვითღირებულების შემცირება.

საწარმოო საქმიანობას ბევრი რამ სდევს თან: შრომის პირობების გაუმჯობესება, მუშათა უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მშრომელთა გაჯანსაღებისათვის ზრუნვა, ჯანმრთელობის შემოწმება, სანატორიუმ-პროფილაქტორიუმების სრულყოფა-გაფართოება, ქალთა ჰიგიენის ოთახების მოწყობა, მშრომელთა სპეცტანსაცმლით უზრუნველყოფა. სამწუხაროდ, ეს ნორმები ზოგჯერ ირღვევა ხოლმე.

პროფკავშირებს მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტაში დიდი როლი და უფლებები ენიჭება და ჩვენ მათ არ ვიყენებთ. — ესენია: სამსახურიდან უმიზეზოდ გათავისუფლება, ხელმძღვანელისაგან არასასურველი მუშაკების უსაფუძვლო მოშორება, საწარმოში ხელფასების დაგვიანებით გაცემა, მატერიალური სტიმულირებისათვის გამოყოფილი თანხების სწორად გამოუყენებლობა. ამ პრობლემებით დაინტერესებული მშრომელები ხშირად პროფკავშირებს გვერდს უვლიან და ზემდგომ ორგანოებს ან პრესას აწუხებენ.

პირადად მე, გარდაქმნის ერთ-ერთ სახეობად წარმოების მართვის დემოკრატიული ფორმების გაღრმავება მიმაჩნია. ჩემი აზრით, წარმოების მართვის არცერთი საკითხი მარტო დირექტორის დონეზე არ უნდა წყდებოდეს.

დღესდღეობით საწარმოებში ხარისხის საბჭოები იქმნება. ეს მუშაობის ახალი ფორმაა და ნელა ვრცელდება (მას ხელმძღვანელობენ დირექტორის მოადგილეები ხარისხის დარგში). ეს საბჭოები პროფკავშირების მუშაობის ბერკეტია.

— რა ღონისძიებები ხორციელდება ქალთა შრომისა და დასვენების პირობების გასაუმჯობესებლად, დედათა და ბავშვთა საკეთილდღეოდ?

— რესპუბლიკაში შექმნილმა ქალთა საბჭომ კონტროლი უნდა დააწესოს, თუ როგორ ზრუნავენ საზოგადოებრივი, სახელმწიფო, სამეურნეო, პროფკავშირული ორგანიზაციები ქალთა კეთილდღეობისათვის, მათი შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, დედობის მისიის საზოგადოებრივ სასარგებლო შრომასთან შეთავსებისათვის.

დღეს ჩვენი რესპუბლიკის ქალთა უმრავლესობა საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაშია ჩაბმული, მაგრამ ეს როდი ათავისუფლებს მათ დედის, როგორც შვილების აღმზრდელის, და ქალის, როგორც მეოჯახის მოვალეობისაგან. ოჯახური აღზრდა ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია ბავშვის ჩამოყალიბებაში. ქალს რომ საოჯახო საქმე შეუმსუბუქდეს, იმ საწარმოში, სადაც ის მუშა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობს, საჭიროა საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის გაუმჯობესება, საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელის გაფართოება, ნახევარფაბრიკატების მაღაზიის გახსნა.

მე პირადად, ქალებისათვის ყველაზე რეალურ დახმარებად არასრული კვირისა და დღის რეჟიმის გამოყენება მიმაჩნია.

რაც შეეხება შეღავათებს, ქალებს გაეზარდათ დეკრეტული შვებულება, მათ ენახებათ სამუშაო ადგილი. აკრძალულია მივლინებაში იმ დედის გაგზავნა, რომელსაც 9 წლის ასაკამდე ბავშვი ჰყავს, გაიზარდა დღეების რაოდენობა ავადმყოფი ბავშვების მოსავლელად, დიდი ყურადღება ექცევა ოჯახურ დასვენებას — გაფართოვდა დედათა და ბავშვთა დასასვენებელი სახლების ქსელი.

მომავლისათვის უფრო გაიზრდება დედათა და ბავშვთა დასასვენებელი სახლების რიცხვი.

როგორც ხედავთ, ქალებს სხვადასხვა შეღავათები და დახმარებები ეძლევათ, მაგრამ ყველაფერი ეს მაინც არ არის საკმარისი, უფრო მეტი უნდა გაკეთდეს, რომ მათ მნიშვნელოვნად შევუმსუბუქდეთ საოჯახო შრომა.

ახლა სიახლეა ბავშვთა აღზრდის საქმეში. რესპუბლიკა გამოვიდა ინიციატორად, როდესაც ჩვენს მშობელთა კომიტეტებთან ჩამოყალიბდა მამების საბჭოები. ბავშვთა აღზრდის საქმეში ინტენსიურად ჩაებნენ მამებიც, გაფართოვდა მშობელთა საზოგადოება, რომელიც უფრო დიდმნიშვნელოვან პრობლემებს წყვეტს.

საწარმოო და პროფკავშირულ ორგანიზაციებს ევალებათ გააძლიერონ ზრუნვა ოჯახების კეთილდღეობისათვის. ისინი სისტემატურად სწავლობენ თანამშრომელთა შვილების აკადემიური წარმატების საკითხს, კარგი შვილის მშობელს პატივს მიაგებენ. მუშაობის ამგვარი მეთოდი დაინერგა თბილისის ლენინის რაონში, ქალაქ ზესტაფონში.

საინტერესო საკითხია მოზარდებისათვის საზოგადოებრივი კლუბების გახსნა. დღეისათვის სამოცამდე ასეთი კლუბი უნდა გაგვეხსნა, მაგრამ, სამწუხაროდ, არცერთი არ გახსნილა. კლუბები კი საჭიროა იმისათვის, რომ მოზარდებმა თავისუფალი დრო გონივრულად და შინაარსიანად გამოიყენონ.

აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკას კვლავ არ ჰყოფნის საბავშვო ბაგა-ბაღები. ამ მხრივ განსაკუთრებით უჭირთ სოფლებს. ქალაქად კი მხოლოდ ყოველი მეორე ბავშვი საბავშვო ბაღში დადის.

ყურადღება უნდა მიექცეს სეზონური ბაღების შექმნას, რაც სოფლის მშრომელ ქალებს დაეხმარება აქტიური მონაწილეობა მიიღონ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში.

ჩვენს წინაშე დიდი ამოცანებია დასახული. იმედი გვაქვს რომ ამ ამოცანებს წარმატებით გადავწყვეტთ, რადგანაც პარტიის 27-ე ყრილობის პოლიტიკურ გეზს, ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად გაჩაღებულ პრაქტიკულ საქმიანობას, გარდაქმნას მხარს უჭერს მთელი საბჭოთა ხალხი.

ესაუბრა ციცო ჯაფარიძე

# რესპუბლიკის ქალთა ფორუმი

17 იანვარს, თბილისში, გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრში დიდი ზეიმით ჩატარდა ქალთა საბჭოების რესპუბლიკური კონფერენცია.

კონფერენციის მონაწილეებთან მოვიდნენ ამხანაგები: ჯ. პატიაშვილი, ვ. ალავიძე, პ. გილაშვილი, გ. ენუქიძე, ო. ჩერქეზია.

რესპუბლიკის მოწინავე 700 ქალს — მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ მუშაკებს, ქალთა საბჭოების აქტივისტებს მიესალმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე.

ამხ. გ. ენუქიძემ თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარტია და მთავრობა მზრუნველობას არ აკლებენ მშრომელ ქალს. გასულ ხუთწლედში 16 ათასზე მეტი ქალი მძიმე ფიზიკური შრომისაგან გამოთავისუფლდა, ოთხი ათასზე მეტმა ქალმა თავი დაანება ღამის ცვლაში მუშაობას. შემოკლებული სამუშაო კვირითა და არასრული სამუშაო დღით სარგებლობს 12 ათასი ქალი.

მაგრამ ზოგიერთ საწარმოში ჯერ კიდევ მძიმეა ქალთა შრომის პირობები, მაგალითად, ხისდამამუშავებელ და მსუბუქ მრეწველობაში, აგროსამრეწველო კომპლექსში, სამშენებლო-ინდუსტრიულ საწარმოებში.

ქალთა საბჭოებმა სწორედ ამ მხრივ უნდა წარმართონ მუშაობა, რათა ხელი შეუწყონ ქალთა შრომის შემსუბუქებას, დაეხმარონ მათ საყოფაცხოვრებო, საოჯახო საზრუნავში, შვილების აღზრდაში, მხარი დაუჭირონ ოჯახებს პრობლემების გადაწყვეტაში, დაიცვან მომავალი თაობა ნარკომანიისა და ლოთობისაგან.

ქალთა საბჭოების რესპუბლიკურ კონფერენციაზე ვრცელი მოხსენებით — სკკპ 27-ე და საქართველოს კომპარტიის 27-ე ყრილობების გადაწყვეტილებათა შესაბამისად რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ქალის როლის შემდგომი გადიდების შესახებ, — გამოვიდა ქალთა რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე, აკადემიკოსი ნინო ჯავახიშვილი.

ნინო ჯავახიშვილმა დამსწრეთ მოუთხრო რესპუბლიკის ქალთა კომიტეტის მუშაობაზე, შეეხო მსოფლიოს ქალთა მოძრაობას დაძაბულობის შენელებისათვის, იმისათვის, რომ კოლოსალური თანხები, რაც შეიარაღებას ხმარდება, მოხმარდეს ბაგა-ბაღებს, სკოლებს, საავადმყოფოებს. სამწუხარო ფაქტია, რომ დღეს მსოფლიოში 50 მილიონი ადამიანი დასაქმებულია სამხედრო საქმეში და ეს 50 მილიონი კაცი არც ხნავს და არც თესავს.

კამათში გამოსული ქალები აყენებდნენ სხვადასხვა საკითხებს.

გორის რაიონის სოფელ შინდისის საშუალო სკოლის პედაგოგმა, სოციალისტური შრომის გმირმა ნ. სამნიაშვილმა ილაპარაკა სკოლის პრობლემებზე. ამჟამად სკოლები დიდი გარდაქმნების წინაშე დგას. სასკოლო რეფორმის განხორციელება ხელს შეუწყობს სწავლის იმგვარ მოდერნიზებას, რომ იგი სრულიად შეეფარდებოდეს თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის აჩქარებულ რიტმსა და სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტივებს.

თბილისის წინდის საწარმოო გაერთიანების მოტორისტმა მკერავმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ქალაქ თბილისის საპატიო მოქალაქემ ნ. პანკოვამ დააყენა საკითხი ბავშვთა დასაქმების თაობაზე, კერძოდ დიდ საცხოვრებელ შენობებში, პირველ სართულზე, შეიძლება გამოიყოს ოთახები, სადაც პენსიონერები ბავშვებს შეასწავლიან კერვას, ქსოვას, ძერწვას, ხატვას...

საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა, საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტის წევრმა მ. ჯაფარიძემ ქალებს მშვიდობისათვის ბრძოლის გაძლიერებისაკენ მოუწოდა და გაიხსენა ხიროსიმაში ნახული საშინელება.

ზუგდიდის რაიონის სოფელ ოდიშის კოლმეურნეობის მეჩაიე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, გმირი დედა მ. სვირავა რაიონის 61 გმირი დედისა და 4523 მრავალშვილიანი დედის სახელით მიესალმა კონფერენციის მონაწილეებს.

კონფერენციაზე აირჩიეს ქალთა რესპუბლიკური საბჭო და მისი თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ნინო ჯავახიშვილი.

ქალთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებად — ნათელა ლაღიძე — პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი და ნელი გელდიაშვილი, გორის ბამბეულის კომბინატის მუშა, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი.

ქალთა რესპუბლიკური საბჭოს მდივნად არჩეულია მადონა მგელაძე — საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

ქალთა რესპუბლიკური საბჭოს შემადგენლობაში 151 ქალია, პრეზიდიუმში — 29 ქალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თიანეთის რაიონის ცხოვრებიდან

# ფერისცვალება

ცოტა შორიდან უნდა დავიწყო: შარშან ხანგრძლივი მივლინებით გახლდით თიანეთის რაიონში. ორი თვის მანძილზე ვეცნობოდი ამ ლამაზი კუთხის ცხოვრებას და ის შთაბეჭდილებები დღესაც არ წაშლილა ჩემს ცნობიერებაში. ჩემი იქ ყოფნის პერიოდი სწორედ ისეთ მოვლენებს დაემთხვა, როცა ყველაზე ნათლად გამოვლინდება ხოლმე ადამიანის საუკეთესო თვისება — შეუპოვრობა, მონდომება, პასუხისმგებლობა და თავდადება. თითქმის ორი თვის მანძილზე თიანეთშიც, ისევე, როგორც საქართველოს ამერ-იმერში, გადაუღებლად წვიმდა. მაგრამ წვიმაც არის და წვიმაც: ზოგჯერ, სრულიად მოულოდნელად, ისეთი თქეში წამოვიდოდა ხოლმე, წალეკვით ემუქრებოდა ყველაფერს, სულიერსაც და უსულოსაც. ხანდახან ტაბუდადებული სეტყვაც იმძლავრებდა და მიწასთან ასწორებდა ნათეს-ნარგავებს. სტიქიამ განსაკუთრებით „გამოიჩინა თავი" ივნისის შუა რიცხვებში, როცა კოკისპირულ წვიმას თან დაერთო ძლიერი სეტყვა. სეტყვამ ნახევარ საათში მოაკალოვა ჭარხლის, ლობიოს, კარტოფილის, ქერისა და შვრიის ნათესები. სულ რაიონში სხვადასხვა ხარისხით დაზიანდა 350 ჰექტარი, აქედან 100 პროცენტით — 40 ჰექტარი. საზოგადოებრივმა მეურნეობებმა დიდძალი ზარალი ნახეს.

კაცმა რომ თქვას, ერთის შეხედვით 350 ჰექტარი რაიონისათვის არც ისე დიდი ფართობია (კახეთის ზოგიერთ კოლმეურნეობაში ხომ ამაზე დიდი ფართობიც გაუნადგურებია სეტყვას), მაგრამ ისეთი მცირემიწიანი რაიონისათვის, როგორიც თიანეთია, 350 ჰექტარს მართლაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს — პირუტყვის საკვების დიდ ნაწილს სწორედ ამ ფართობებზე ამზადებენ.

კრიტიკულ მომენტში გულხელდაკრეფილნი როდი ისხდნენ თიანელები. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ქუდზე კაცი გამოდიოდა მოსავლის გადასარჩენად. მძლავრი ტრაქტორებითა თუ ხელის ნიჩბებით აგებდნენ ჯებირებს, გაჰყავდათ წყალსაწრეტი არხები, რომ გაშმაგებული ნიაღვრისათვის სავარგულებისაკენ გზა ჯადაეკეტათ. უამინდობამ ძალზე შეაფერხა ბალახის მომწიფება, სასენაჟედ ან სასილოსედ მისი აღება არ შეიძლებოდა, ამიტომ, ნებით თუ უნებლიედ, დანაკარგები მაინც საგრძნობი იყო.

ასეთი ძლიერი წვიმის დროს შოვხვდი ორხევის საბჭოთა მეურნეობაში. მეურნეობის



თამარ ყორიაული და მეურნეობის დირექტორის მოადგილე იაგო შარაზადიშვილი

კანტორაში მხოლოდ საანგარიშო დარგის რამდენიმე მუშაკი დაგვხვდა. გარეთ შეუწყვეტლად წვიმდა და იმის გაფიქრებაც კი მკრეხელობად მიგვაჩნდა, რომ ასეთ ამინდში მინდვრად რაიმეს გაკეთება შეიძლებოდა. ღვარად წამოსულ თქეშში მოულოდნელად გამოიკვეთა ადამიანის ფიგურა. მერე ოთახში თავით-ფეხამდე გალუმპული ქალი შემოვიდა და უბრალოდ გაგვეცნო:

— თამარ ყორიაული, მეურნეობის მთავარი აგრონომი.

აქამდე ყურმოკვრით ცოტა რამ უკვე ვიცოდი მასზე. ვიცოდი, რომ კარგი სპეციალისტი, მომთხოვნი მუშაკია და ორხევის საბჭოთა მეურნეობამ ბოლო ხანს რომ სტაბილურ შედეგებს მიაღწია, ამაში მისი დამსახურებაც არის.

დღეს აბა, ვის რა გაუკვირდება. ვის გაუკვირდება, რომ ქალები უკვე ფლობენ ტრადიციულად წმინდა მამაკაცურ პროფესიად აღიარებულ სპეციალობებს. და იმაში, რომ თიანეთს თავისი კადრი ჰყავს სოფლის მეურნეობის ყველა დარგში, საოცარი არაფერია. საოცარი მხოლოდ ისაა, რომ ყოველივე ეს შესაძლებელი გახდა ძალზე მოკლე დროში — რაღაც ორმოციოდე წელიწადში. ერთხელ, გაზეთ „კომუნისტის" 1922 წლის კომპლექტებზე მუშაობისას, ასეთ ცნობას წავაწყდი: „თიანეთის მაზრა ერთი ჩამორჩენილი კუთხეთაგანია საქართველოში... სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ დღემდე არაფერი გაკეთებულა ამ ხალხის სიბნელიდან გამოსაყვანად. მომზადებულ მუშაკებს მაზრაში იშვიათად შეხვდებით, თვით ხალხში იშვიათად მოიპოვება წერაკითხვის მცოდნე".

ახლა?

შარშან, 27 დეკემბერს, რაიონული გაზეთი „ახალი თიანეთი" იტყობინებოდა: „წელს 26 უმაღლესდამთავრებული ახალგაზრდა დაბრუნდა რაიონში, 26 ქალიშვილი და ჭაბუკი, რომელთაც წელს დაამთავრეს რესპუბლიკის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებელი. მშობლიურ რაიონში სამუშაოდ მობრუნებულებს ჩირაღდანივით შემოუძლვათ ცოდნის ნათელი, ხვალინდელი დღის რწმენა და სამომავლო იმედი".

ორხევის საბჭოთა მეურნეობაში აგრონომის დიპლომით მოვიდა თინა ბაინდურაშვილი, ზოოტექნიკოსის დიპლომით — გელა ჩოხელი.

ეს ორი ცნობა — ერთი არც ისე შორეული წარსულიდან, მეორე — თითქმის გუშინდელი დღიდან, მართლაც ჩინებულად ასახავს დროის სუნთქვას.

ასეთია ერთი საინტერესო დეტალი მთის რაიონის მშრომელთა ცხოვრებიდან.

მაგრამ, დავუბრუნდეთ ისევ ორხევს, ეს მეურნეობა მეცხოველეობის მიმართულებისაა და ცხადია, მისი ყოველი მუშაკის საზრუნავიც ამ დარგის აღმავლობაა. საქმეში ჩაუხედავმა კაცმა შეიძლება იფიქროს, მთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარ აგრონომს მეცხოველეობასთან რა ხელი აქვს, მეცხოველეობაზე ზოოტექნიკოსმა უნდა იზრუნოსო. მაგრამ ეს მხოლოდ ერთის შეხედვით: მეცხოველეობამ რომ დღევანდელ მოთხოვნებს უპასუხოს, მტკიცე საკვები ბაზა სჭირდება, საკვებ ბაზას კი ჰქმნიან მიწათმოქმედნი, ვის საქმიანობასაც აგრონომიული დარგის მუშაკები წარმართავენ. ამრიგად, მთავარი აგრონომი, ძალიანაც რომ ეცადოს, მეცხოველეთა საზრუნავს გვერდს მაინც ვერ აუვლის.

მესამე წელია, ორხეველები მიწათმოქმედებისადმი სრულიად ახლებურ დამოკიდებულებას ავლენენ. ეს გამოიხატება როგორც ნიადაგის დამუშავებაში, ისე სასუქების მიზნობრივ გამოყენებაში, საუკეთესო ჯიშის თესლის შერჩევაში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ხვნა-თესვის ვადების დაცვას, ჯეჯილების გამოკვებას. ამის შედეგად მეურნეობაში მარცვლეული კულტურების მაღალ მოსავალს იწევენ. შარშანწინ, მაგალითად, აქ ყოველ ჰექტარზე 22 ცენტნერი თავთავიანები გალეწეს (წინათ ეს მაჩვენებელი 7-8 ცენტნერს არ აღემატებოდა!), შარშან კი ამ რეგიონში ყველა დროისათვის სარეკორდო შედეგს მიაღწიეს — ყოველ ჰექტარზე დაგეგმილი 19 ცენტნერის მაგიერ 31 ცენტნერი შემოდგომის ხორბალი მოიწიეს. დიდი გადაჭარბებით შესრულდა ქერის წარმოების გეგმა-დავალებაც.

რაშია წარმატების საიდუმლოება?

— უპირველესად თესლს ვუმადლით, — აგვიხსნა თამარმა. ახალქალაქის რაიონიდან შემოვიტანეთ ხორბლის ჯიში „დედა“, რომელიც ჩვენს პირობებს კარგად შეეგუა — მდგრადია, ბარტყობს, ჩაწოლისადმი გამძლეა. გაგვიმართლა ხორბლის ისეთმა ჯიშებმაც, როგორიც არის „თბილისური-8“, „ტრიტიკალე“, მთის პირობებისათვის საუცხოო გამოდგა სიმინდი „ქართული-9“, „პალაშვილი“, „ენგური“. აღვადგინეთ ერთ დროს მივიწყებული ჯვარედინი თესვა...

წერილის შესავალში უამინდობაზე ტყუილად როდი გავამახვილეთ ყურადღება. ახალ ჯიშებს იმაზე უფრო მძიმე გამოცდას ბუნება ალბათ, ვერ მოუწყობდა. ნათესებმა გამოცდას ბრწყინვალედ გაუძლეს და როგორც უკვე ვთქვით, ორხეველებმა თავთავიანების სარეკორდო მოსავალი მოიწიეს. მაგრამ აქ სხვა რამაც არის საგულისხმო. მიწის, თესლის, სასუქების, ტექნიკის, სარწყავი წყლის ყადრის უკეთ გაგებამ მარტო მარცვლეულის მოსავლიანობის ამაღლებაში როდი იჩინა თავი. მეურნეობაში მართლაც ზღვად მოსკდა სასილოსე და სასენაჟე მასა. მაგალითად, სასილოსედ განკუთვნილი მზესუმზირის ნათესებიდან ყოველ ჰექტარზე 460 ცენტნერამდე მწვანე მასა მიიღეს. ასევე მაღალი მოსავალი უზრუნველყო შვრიითა და ბარდით შეთესილმა „ტრიტიკალემ“. მეურნეობაში 2.564 ტონა მარტო სენაჟი, 2 ათას ტონაზე მეტი სილოსი დამზადდა. გადააჭარბეს თივის დამზადების გეგმასაც. საბოლოო ანგარიშში, ერთ პირობით სულ პირუტყვზე დაგეგმილი 18 საკვები ერთეულის ნაცვლად 34 საკვები ერთეული დამზადდა. ამით მთლიანად მოიხსნა შირაქის ზამთრის საძოვრებზე პირუტყვის გადაყვანის აუცილებლობა, რაზეც ათეულ ათასობით მანეთი იხარჯებოდა.

მაგრამ, მარტო ეს როდია ორხევის საბჭოთა მეურნეობის წინსვლის მიზეზი. მეურნეობისა, რომელიც ბოლო წლებში სისტემატურად მოგებით ამთავრებს სამეურნეო წელს, აიაფებს წარმოებულ პროდუქციას. ყოველივე იმას, რაც ზემოთ ითქვა, ემატება მშრომელთა ორგანიზებულობა და პასუხისმგებლობა შესრულებული სამუშაოს ხარისხისათვის. აქ, რომ იტყვიან, ძალზე ბევრს „მუშაობს“ სპეციალისტთა ფხიზელი თვალი. არის კიდევ ერთი დიდი რეზერვი: ინტენსიური ტექნოლოგია, ბრიგადული იჯარა. წლეულს ინტენსიური ტექნოლოგიით დამუშავდება 70 ჰექტარი ნათესი. იჯარის ფორმები კი მასობრივად დაინერგება, რაც მეურნეობასაც, მშრომელებსაც დიდ სიკეთეს პირდება.

ახლა ვნახოთ, მეურნეობის ეკონომიკის სიძლიერე რა გავლენას ახდენს მასში შემავალი სოფლების ინფრასტრუქტურაზე. მეურნეობის დირექტორი ელბერდ მიდელაური ანგარიშიანი კაცია, სანამ რაიმეს გადაწყვეტდეს, ათასჯერ მოეთათბირება საქმეში ჩახედულ ხალხს, რჩევას ჰკითხავს. ამ ანგარიშიანობამ, ყაირათიანობამ, მომჭირნეობამ იჩინა კიდეც თავი. ყურადღებას იქცევს მეურნეობის საქმიანი ეზო, სადაც გადახურულ ფარდულებში დაუდევს ბინა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, ნათელ ოთახებში — სახელოსნოებს, სპეციალურად აგებულ შენობაში — მუშათა სასადილოს. დირექციამ იზრუნა და სოფელ ნაქალაქარში გაიყვანეს სატელეფონო ხაზი, მოეწყო ჭაბურღილი, მაგრანეთში შეკეთდა კულტურის სახლი, მოწესრიგდა წყალგაყვანილობა, მოიხრეშა სასოფლო და საუბნო გზები. თავად ორხევში შენდება სატელეფონო სადგური და მშვენიერი სასახლე პატარა მოქალაქეებისათვის...

ეს მხოლოდ ზღვაში წვეთია იმისა, რაც გაკეთდა, კეთდება ან მომავალში გაკეთდება. ყოველივე ამას უზარმაზარი სახსრები სჭირდება და მეურნეობის სალაროც უშურველად გასცემს მას.

გარდუვალ კანონზომიერებას სად გაექცევი: როდესაც მდინარეს ძლიერი შენაკადები კვებავს, მისი სიძლიერეც შესაბამისად იზრდება.

ასეა აქაც, მშრომელთა ხელით შექმნილი ხვავი და ბარაქა სიკეთითვე უბრუნდება მათ ოჯახებს.

ელგუჯა ლებანიძე

# მრავალშვილიან დედებს

სამშობლოს უზრდით ნათელ მომავალს,
ფრთებს ასხავთ ციცქნა, ბუმბლიან გედებს,
მინდა ეს ლექსი მოგიძღვნათ ყველას,
მრავალშვილიან, თქვენ, ქართველ დედებს!
თქვენი იმედით ცოცხლობს სამშობლო,
თქვენი ვარსკვლავი ანათებს მიწას,
თქვენი გაზრდილი შვილია ისიც,
ქვეყნის საზღვარზე დღეს თქვენ რომ გიცავთ.

დაგიფასებენ თქვენი შვილები,
არ დაგიკარგავთ სამშობლო ამაგს,
მერე მათ შვილებს დაუწყებთ ზრდას და
დაურწევთ ხეზე ჩამობმულ ჰამაკს.
თქვენ იმრავლეთ და თქვენ იდღეგრძელეთ,
სამშობლოს თქვენ ფენთ ვარდსა და ედემს,
მინდა ეს ლექსი მოგიძღვნათ ყველას
მრავალშვილიან საყვარელ დედებს!

ნანა წითელაური,

ახმეტის რაიონის ხოდაშენის ახალგაზრდული ბრიგადის წევრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პარტნიორობა

ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „გლდანის" მთავარი ინჟინრის მოადგილეს, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატს ელენე ნიკოლაიშვილს სწამს, რომ მსუბუქი მრეწველობის გამართულ მუშაობაზეა დამოკიდებული რესპუბლიკის მოსახლეობის უზრუნველყოფა ხარისხიანი ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, ქსოვილითა თუ ტრიკოტაჟის ნაწარმით, და რომ საქართველოში წარმოებული მთელი სამრეწველო პროდუქციის მეხუთედი ამ დარგის წილად მოდის, მისით განისაზღვრება რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალი. ამიტომაც უპირველესი ამოცანაა მთელი პასუხისმგებლობით ზრუნვა ტექნიკური პროგრესის დანერგვისათვის, მეცნიერებისა და წარმოების მჭიდრო კავშირისათვის. სჯერა ე. ნიკოლაიშვილს, რომ მეცნიერების მჭიდრო კავშირი წარმოებასთან ის საერთო ძალაა, რომელიც შემოქმედებითს აზრს საქმედ აქცევს. მეცნიერების ნააზრევი წარმოებამ უნდა მოირგოს, გაითავისოს და, რაც უფრო დაჩქარდება ეს პროცესი, მით უმალ შეიგრძნობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სიკეთე. სწორედ ამ მიმართებით მისაბაძია საწარმოო გაერთიანება „გლდანისა" და საქართველოს საფეიქრო მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ერთობლივი თანამშრომლობა, პარტნიორობა. აქ პირველად შეიქმნა შემოქმედებითი სამეცნიერო-საწარმოო ბრიგადები, რომელთა ერთ-ერთი თაოსანი და თავკაცი ელენე ნიკოლაიშვილია.

კიევის მსუბუქი მრეწველობის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში საქართველოდან წარგზავნილთა პირველ ჯგუფში ქართველ ახალგაზრდებთან ერთად ელენეც იყო. ჩვენი თანამემამულენი პირველად აქ დაეუფლნენ ახალი დარგის — ტრიკოტაჟის წარმოების ტექნოლოგიას და პირველი ნაბიჯების გადადგმაც მათ ერგოთ წილად. ინსტიტუტის რექტორმა ახალგაზრდებს განუცხადა: თქვენ როგორც მოიქცევით, იმის მიხედვით შეგვექმნება წარმოდგენა საქართველოზე და ქართველებზეო. ამის შემდეგ დიდი პასუხისმგებლობა იგრძნეს ახალგაზრდებმა, მათ უკვე უფლება აღარ ჰქონდათ სანიმუშონი, წარჩინებულნი არ ყოფილიყვნენ ყველგან და ყველაფერში. დღემდე საქმისადმი ამგვარი შემოქმედებითი დამოკიდებულების გრძნობით ილვწის ქალბატონი ელენე.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იქვე ასპირანტურაში დარჩენა შესთავაზეს, მაგრამ იცოდა, საქართველოს რომ სჭირდებოდა სპეციალისტი. თავის მასწავლებელს, ტრიკოტაჟის წარმოების კათედრის გამგეს ლიდია იგნატოვას კი შეჰპირდა, დავბრუნდებიო...

თბილისის ტრიკოტაჟის ფაბრიკაში ტექნოლოგად დაიწყო მუშაობა. ერთ თვეში საამქროს უფროსად გადაიყვანეს. შემდეგ კი გრძელი გზა განვლო. ტრიკოტაჟის მრეწველობაში პირველ ქართველ სპეციალისტს სიძნელეებიც ბევრი ხვდებოდა.

მხოლოდ 16 წლის შემდეგ შეხვდნენ ლ. იგნატოვა და ელენე ერთმანეთს. მასწავლებელმა ელენეს კიევში წასაყვანად ჩამოაკითხა თბილისში, მაგრამ მოკრძალებული უარი მიიღო, მხოლოდ სამეცნიერო მუშაობაზე დაიყოლია აღზრდილი. მართლაც, წარმოებისაგან მოუწყვეტლად ელენემ ასპირანტურა კიევში დაამთავრა, აქვე წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ნედლეულის ეკონომიის მეთოდოლოგიაზე. ეს სიახლე თავის საწარმოშივე დაინერგა.

დღისით წარმოებაში თავაუღებლად ვმუშაობდი, საღამოს, ზოგჯერ მთელი ღამეც კი სადისერტაციო თემაზეო, — იგონებს ახლა იმ წლებს ე. ნიკოლაიშვილი და თან უკვირს, რა ძალამ შეაძლებინა ასეთი დიდი ტვირთის ზიდვა.

ალბათ ამიტომაც დღეს მისი პოზიცია ასეთია: ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სპეციალისტი ჯერ წარმოებაში უნდა მივიდეს, ჩასწვდეს მის საიდუმლოებას, შეიყვაროს თავისი პროფესია და მხოლოდ შემდეგ, — რასაკვირველია, თუ ამისი სურვილი და უნარი აქვს, — მეცნიერებას მოჰკიდოს ხელი.

— ჩვენი ბრიგადის წარმატება იმითაც არის მოპოვებული, რომ ბრიგადის თითოეულმა წევრმა ინსტიტუტის დამთავრებისთანავე წარმოებაში დაიწყო საქმიანობა, — ამბობს ელენე.

1982 წლიდან მოყოლებული ე. ნიკოლაიშვილი პირველ შემოქმედებით კომპლექსურ-სამეცნიერო-საწარმოო ბრიგადას თავკაცობს. ამ შემოქმედებითს ბრიგადაში ერთნაირი პასუხისმგებლობით მუშაობენ როგორც ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები, ისე გაერთიანების სპეციალისტები, ინჟინრები, მუშები. მიზანი ერთი აქვთ: შექმნან რაც შეიძლება მეტი ახალი ასორტიმენტი, ახალი სტრუქტურის ქსოვილები. მეცნიერთა და პრაქტიკოსთა ეს პარტნიორობა იმით არის აღსანიშნავი, რომ სიახლე უფრო მეტი ოპერატიულობით ინერგება.

— ჩვენი ბრიგადების მუშაობის უპირატესობა ის არის, რომ ჩქარდება მეცნიერული კვლევის დანერგვის პროცესი. დღეს მოდა ძალიან სწრაფად იცვლება, ჩვენ მას არ უნდა ჩამოვრჩეთ — მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნილება უნდა დავაკმაყოფილოთ, თუ წინათ სიახლის დანერგვას წლები სჭირდებოდა, ჩვენს პირობებში თეორეტიკოსებისა და პრაქტიკოსების ერთობლივი მუშაობით სიახლის დანერგვაში დიდ ეფექტს აღწევენ, — სიამაყით ამბობს ე. ნიკოლაიშვილი.



ელენე ნიკოლაიშვილი

დ. იაკობაშვილის ფოტოები

პირველ შემოქმედებით ბრიგადას მიმდევრები გაუჩნდნენ გაერთიანებაში. საჭირო გახდა კიდევ ერთი შემოქმედებითი ბრიგადის თავკაცობა ეკისრა ელენეს. ამ ბრიგადას ტრიკოტაჟის მრეწველობის კიევის განყოფილებასთან ერთად უნდა დაემუშავებინა საწარმოში კერვის ორგანიზაციის ახალი მეთოდი. ეს მეთოდი იუგოსლავური ნაკადური ხაზების გამოყენებით უნდა განეხორციელებინათ, მაგრამ ეს ხაზები საკავშირო სამინისტრომ ვერ გამოყო, ამიტომ სხვა გზა აირჩიეს, სახელდობრ, შემუშავდა პროექტი აგრეგატულ-ჯგუფურ მეთოდზე გადასასვლელად. ტრიკოტაჟის წარმოებაში ეს დიდი სიახლე იყო. სამამულო მანქანა-დანადგარები იმგვარად დაჯგუფდა, რომ გადამცემი პლატფორმების საშუალებით საბოლოო, მზა ნაწარმი სამ-ოთხკაციან ჯგუფში ხარისხიანად, უწუნოდ იკერებოდა. ინდივიდუალური შესრულების პრესტიჟი და პასუხისმგებლობა ამაღლდა. რაც მთავარია, მოდელის ცვალებადობის, მობილურობის მეტი შესაძლებლობა შეიქმნა. ამ ნაკადურ ხაზზე ერთდროულად იმდენი მოდელის შესრულება შეიძლება, რამდენი ჯგუფიც არის. ამასთან, თითოეული ეს ჯგუფი ადვილად, — ისე, რომ გადაწყობა არ არის საჭირო, — გადადის სხვა, ახალი მოდელის

შესრულებაზე, სავაჭრო ორგანიზაციებს, ე. ი. მოსახლეობას პატარა პარტიებით აწოდებენ მრავალფეროვან ასორტიმენტს. ეს ხომ დღევანდელობის მოთხოვნაა.

ამ ორი სამეცნიერო-საწარმოო ბრიგადის მიერ შექმნილმა სამმა ქსოვილმა საავტორო მოწმობა მიიღო, ხოლო ერთი მსუბუქი მრეწველობის საკავშირო სამინისტროს დიპლომით დაჯილდოვდა.

ისეთი შემართებით, გატაცებით იცის მუშაობა ელენე ნიკოლაიშვილმა, რომ შეუძლებელია არ აგიყოლიოს.

— საწარმო ჩემი მეორე ოჯახია, — იცინის იგი და კითხვაზე, — ვის თვლით თქვენ მოწაფეებადო, — ამბობს: იმდენი მოწაფე და მიმდევარი მყავს, რომ მათი გვარების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

— კეთილი ღიმილით, სითბოთი და სიყვარულით ისე ჩაგრთავს საქმეში ქალბატონი ელენე, რომ ვერ გაიგებ რით მოგნუსხა. გვწამს მისი კომპეტენტურობა, მეტად მომთხოვნიც არის — ამბობს გაერთიანების მხატვარი დალი ღვინიაშვილი და თან გვერდით იყურება, არ გაიგოს, თორემ არ უყვარს, მის საქმიანობას რომ ვაქებთო.

თავმდაბალსა და ინტელიგენტ ქალს დაფასებად ის მიაჩნია, საქმის სიყვარულით ყველა ერთად რომ მიაღწევს მიზანს, თავისად რომ მოაქცევს ვისმე“.

ლვოველი მეცნიერი ლილია ზლოტნიკოვა სიხარულით შეხვდა ელენე ნიკოლაიშვილთან პარტნიორობას, რადგან იცის, რომ მის მეცნიერულ ჩანაფიქრს გაერთიანების სამეცნიერო-საწარმოო ბრიგადაში არ დააზანებენ, მან სამკერვალო დანადგარებისათვის მრავალგვარი სამარჯვეებიც კი ჩამოუტანა თბილისელ თანამოსაქმეებს.



გაერთიანება „გლდანის“ საამქროში

ახლა დიდ სამზადისშია ე. ნიკოლაიშვილი — ვიეტნამში, საბჭოთა გამოფენაზე გაერთიანება „გლდანის“ პროდუქციაც წარმოჩნდება, ცალკე სტენდიც კი ეძღვნება. გაერთიანებამ აქ უნდა დაიცვას რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის პრესტიჟი. გვწამს, ხორცს შეასხამს ამ მიზანსაც, რადგან, როგორც თვითონ ამბობს, მიზნის მიღწევისას წინააღმდეგობების დაძლევაც ხომ გმირობაა.

რუსუდან გრიგოლია

ლიდა სტვილია

# ისევ და ისევ...

თეთრი იები ისევ თეთრია,
ლურჯი იები ისევ ლურჯია,
რტო დათოვლილი დაუფერთხია
ვარდს და...
კოკორი გაუფურჩქვნია!
შენი ნათქვამი „ქაჯის ამბებით“
ახლაც ბავშვივით მე ვარ გართული,
ჯადოსნურ ზღაპრის სკივრის გამღები
ვარსკვლავებს კრეფავს შენი ქართული.
თავს დასტრიალებს ხუნწს და მის ყანებს,
ხნულში „გუთნური“ ღვივის ნებისად,
ყველას ეზოში ამოიყვანე
კამკამა წყალი უკვდავებისა!
კავის ქუსლს ახლა შენებრ ვინ გათლის,
სოფელს ურემი ვინ გაუკეთოს,
ციცინათელა სულში გინათის,
მაგრამ უკვე თოვს,
მაგრამ უკვე თოვს...
დასაკოცნი და მოსაფერები —
ხშირად ჩვენთვისაც კი გარუჯვია
ჩვენი ბიცოლას თეთრი ხელები
მჭადს რომ გვიცხობდა თოთხმეტ
უჯრიანს!..
აბა, არ გახსოვს?
ორი ობოლი
გწამდათ
ვიყავით თქვენი ობლებიც,
მანამ გვეხურა თქვენი გოდორი
ხუნწს არ გაშორდნენ ვიდრე ორბები..
...ქუქითზე ახლაც
იმგვარად ბარდნის
ჩემი ბავშვობაც კვლავ თქვენთან
დარბის...
ჩვენი ერთგული ბიძაშვილობა
სულის შემძვრელი,
გულის შემძვრელი
სიყვარული და გულგაშლილობა,
იყოს მარადი,
იყოს დღეგრძელი!..
...თეთრი იები, ისევ თეთრია,
ლურჯი იები ისევ ლურჯია,
რტო დათოვლილი დაუფერთხია
ვარდს და...
კოკორი გაუფურჩქვნია!

# ჩემი ცხოვრების ამინდები

დეიდებო და... მამიდებო,
ჩემი ცხოვრების ამინდებო!...
დავინთებ ცეცხლს ხელის გულებზე
თქვენთვის,
მზეს მხარზე გავიდებო...
...ჩემს კარგ დეიდა-მამიდებთან
მაჯლაჯუნებო, არ მიბედოთ!
დეიდას, დედის სითბო აქვსო,
მეუბნებოდა ქოხში დედა,
მამიდას, მამის სითბო აქვსო,
მოგონებები მოხშირდება...
რა დიდ ქარვასლაში არ ვცხოვრობდე —
კვლავ თქვენთან ყოფნა მომშივდება!..
მყავხართ ლამაზი,
კეთილები,
სამაგალითო და...
სანაქებო,
თქვენით ვდედოფლობ ყვავილებში —
მამიდას ნათქვამო არაკებო!...
თქვენით დავაქციე ქაჯეთი —
დეიდას ნათქვამო არაკებო!
მუდამ სიკეთეს მომძახოდით,
ჩემო გამზრდელო,
მოყურადევ...
წმინდა ქართულო ოჯახებო!

დეიდებო და მამიდებო, —
ჩემი მომავლის ამინდებო!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შარლოტ დელბო

ფრანგი პროგრესული მწერალი ქალი შარლოტ დელბო, რომელიც ტყვედ იყო ოსვენციმისა და რავენსბრუკის საკონცენტრაციო ბანაკებში, იმ მწერალთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც, განგებით ცოცხლად დარჩენილებმა, კალამი აიღეს ხელში და თავიანთ ნაწარმოებებში ამ ბანაკების საშინელებები აღწერეს.

# ლილი

— ლილი აქ არის? სად არის? — კითხულობდნენ ისინი, დილით მინდორში სამუშაოდ რომ წავიდნენ.

იქ მყოფნი ხელით ანიშნებდნენ, ხმას დაუწიეთო, თანაც ევაზე მიუთითებდნენ.

— მოვიდნენ და წაიყვანეს.

— ორნი იყვნენ.

მიხედონ მაინც მის კერძს.

— ევა მიხედავს.

ევა უხმოდ იჯდა და ჭამდა. არავის უყურებდა. ჩვენც თვალს ვარიდებდით. მის გვერდით ლილის ადგილი თავისუფალი იყო. არავინ იჯდა მის ტაბურეტზე, კერძი ცივდებოდა. ყველა თვალს არიდებდა ევას. იგი ჩვეულებრივზე უფრო დინჯად შეექცეოდა.

ისადილეს, ადგნენ. მაგიდა აალაგეს, გაცივებული კერძი კი დატოვეს, თითქოს არ შეუმჩნევიათო. სასტვენის ხმაზე სასადილოდან გამოვიდნენ, მწკრივად დაეწყვნენ და სამუშაოზე დაბრუნდნენ. ევასთან არავინ მისულა, არავინ გამოლაპარაკებია, ეს ხომ ჩვეულებრივი სამძიმარის გამოთქმა იქნებოდა.

იმ დილით ორი ესესელი მოვიდა ლილის წასაყვანად. ლილი სასწორთან იდგა, ჯამებს წონიდა და თითოეულის წონას ქაღალდზე ინიშნავდა. ესესელებმა კარის ზღურბლიდან დაუძახეს. ლილიმ მხოლოდ ერთი ციფრიღა ჩაიწერა და შეეკითხა: მე მკითხულობთ?

— დიახ, წამოდი, — უთხრა ერთ-ერთმა.

— ახლავე?

— დიახ, ახლავე.

ლილიმ სამუშაო ხალათი გაიხადა. ამხანაგი მოეხმარა. ლაბორანტისათვის განკუთვნილ ხალათს უკან ღილები ჰქონდა. დილით ერთმანეთს ვუკრავდით ზურგზე ღილებს, საღამოს ვუხსნიდით. გაიხადა. ტანზე კოხტად შემოტმასნილი ზოლებიანი კაბა ეცვა, მოკლე, თავისი გადაკეთებული. უცნაური იყო, ასეთი კოხტა ქალი და პატიმარი! იგი ოცი წლისა იყო.

ესესელებს ეჩქარებოდათ, მაგრამ უხეშად არ იქცეოდნენ. ლაბორატორიაში მათთვის ყველაფერი მეცნიერული და გაუგებარი იყო. ხალათებიანი ქიმიკოსები, მათი ზუსტი მოძრაობა, სიწყნარე და ოთახის საქმიანი ატმოსფერო მათზე შთაბეჭდილებას ახდენდა. ლილი არ ჩქარობდა. მან გერმანული იცოდა და შეეკითხა, რატომ მიგყავართო. ერთ-ერთმა მათგანმა პიჯაკის ჯიბიდან დაკეცილი ქაღალდი ამოიღო, მეორეს გადახედა, თითქოს თავს ამოწმებსო, და უპასუხა: პოლიტიკურ განყოფილებაში გიბარებენ. ლილი ევას კაბინეტში შევიდა. ევა უკვე გაეფრთხილებინათ. ერთმა ქიმიკოსმა მუშაობისას სინჯარა შეიტანა მის კაბინეტში და ჩუმად უთხრა ლილი მიყავთო. ევა იჯდა და თავის თავს ეკითხებოდა, რატომ დასჭირდა ლილი პოლიციას? ყველა გაოგნებული იყო. ლილი კი ყველას გამოეთხოვა და წავიდა. ფანჯრიდან ვუყურებდით, როგორ მიდიოდა წელგამართული ორ ესესელს შორის. იქნებ მათ იცოდნენ, რისთვის დაიჭირეს, არაფრისათვის პოლიციაში არ დაგიბარებენ. რატომ უნდა დაებარებინათ რომელიმე ჩვენთაგანი პოლიციაში? ლილი პირველი იყო.

ჩვენ კარგად დაგვამახსოვრდა როგორ მიდიოდა იგი ორ პოლიციელს შორის, დაგვამახსოვრდა მისი მბზინავი შავი თმა, გადაპარსულ თავზე რომ აებურძგებოდა ხოლმე. ლილი ებრაელი იყო და მათ უმეტესად თავებს პარსავდნენ. ლილის თმა ძაღლის სველი ბალანივით კისრამდე ჩამოგლესოდა და არ ისწორებდა. ან კი რა აზრი ჰქონდა?

იქნებ ესესელებმა არაფერი იცოდნენ, ლილიმ კი იცოდა, რატომ მიაბიჯებდა მათ შორის. ფინჯნებითა და სინჯარებით ხელში შევდიოდით ევას ოთახში. ევა აქვარელით შესანიშნავად ხატავდა სხვადასხვა ტიპის ფოთლებსა და ყვავილებს. დამახასიათებელ ნიშნებს პატარა ისრებით აღნიშნავდა, ქვევით კი ახსნა-განმარტებას ტუშით მიაწერდა. როდესაც ესესელთა შეფი იქ არ იყო, ევა მშვენიერ ყვავილებს, ჩიტებსა და სახლებს ხატავდა. ზოგჯერ პორტრეტებსაც აკეთებდა. მოგვიანებით ყველას გაგვახსენდა და გაგვეხარდა, რომ ევამ ლილის პორტრეტის გაკეთება მოასწრო. მაგრამ იმ დღეს არაფერი გაგვეგებოდა.

შუადღისას ლილი არ გამოჩენილა. არც საღამოს მოვიდა, დაკითხვაზე თუ იყო. დაკითხვა დიდხანს გრძელდებოდა ხოლმე. თავიანთ ფიქრებს ხმამაღლა არავინ გამოსთქვამდა, ფიქრისაც გვეშინოდა. როცა ევა გამოჩნდებოდა, შიშით გავისუსებოდით. რითი დაგვემშვიდებინა? უცნაურად მოეჩვენებოდა ლილი საერთოდ რომ არ გვეხსენებინა. ვახსენებდით და შევაშფოთებდით. იქნებ არც ღელავდა, გარედან ისეთი მშვიდი ჩანდა, ტყუილუბრალოდ რატომ აგვეღელვებინა.

მერე ევა მოგვიყვა, იმ საღამოს საერთოდ არ მეძინაო, მათი საწოლები ერთად იდგა. მთელი ღამე ელოდა ლილის. არც მეორე დღეს ეძინა, თუმცა იმედი გადაუწყდა, რომ ლილის კვლავ ნახავდა.

ჩვენ კვლავ ვერიდებოდით ევას. ლილის ადგილი თავისუფალი იყო. ფინჯანიც ცარიელი იდგა. მე ლილის უკან ვიჯექი და ყოველდღე ვუყურებდი მის ძაღლის სველი ბალანივით დასლეპილ თმებს კეფაზე. ლილი იქ აღარ იყო, მე კი შევცქეროდი მის ცარიელ ტაბურეტს და მეჩვენებოდა, თითქოს იქ იჯდა, გამართული, პატარა ბიჭუნასავით კისერზე ჩამოზრდილი თმით.

მესამე დღეს გავიგეთ ყველაფერი. ყველანი მივედით ევასთან. თქმით ვერაფერი ვუთხარით, იგი არ ტიროდა, ფერმიხდილი იჯდა, სახე დატანჯული ჰქონდა. მას ლილის მეტი არავინ გააჩნდა, ფაშისტებმა მთელი ოჯახი გაზით ამოუხუთეს, მთლად გაანადგურეს სლოვაკიის ერთი პატარა ქალაქი.

ნელ-ნელა მოსცილდნენ ევას, ტაბურეტიც წაიღეს. უკვე აღარ გვეჩოთირებოდა ლილის არყოფნა, ყველაფერი კაცებმა გაგვაგებინეს და არა ევამ. ევას არავისათვის არაფერი უთქვამს. ლილიზე ლაპარაკს ერიდებოდა. ყველამ ვიცოდით, მაგრამ ერთმანეთს არაფერს ვეუბნებოდით. ჩვენი ლაბორატორია დიდი ბანაკიდან რამდენიმე კილომეტრის დაცილებით მდებარეობდა. გერმანელმა მეცნიერებმა გადაწყვიტეს შეესწავლათ და პოლონეთში ეხარებინათ უკრაინული ჯიშის ბაბუაწვერას ერთ-ერთი ნაირსახეობა. ამ მცენარისაგან რუსები კაუჩუკს ღებულობდნენ. თავისი ხარისხით ეს კაუჩუკი ჰევეას ჯიშს არ ჩამოუვარდებოდა. სწორედ ამან დააინტერესა გერმანელები და გადაწყვიტეს დაპყრობილ ტერიტორიაზე მოეყვანათ ის რუსეთიდან ჩამოტანილი თესლით. ოსვენციმის საცდელი სადგურისათვის მათ სჭირდებოდათ ბიოლოგები, ქიმიკოსები, ბოტანიკოსები, აგრონომები, მთარგმნელები, მხატვრები, ლაბორანტები. ამ პროფესიის ხალხი გამოიყვანეს სიკვდილის ბანაკიდან. ჩვენთვის ეს ხსნა იყო. აქ თავს შედარებით უკეთ ვგრძნობდით, რადგან შეიძლებოდა დაგვებანა, სუფთა კაბები გვქონოდა, უფრო დამშვიდებულები ვყოფილიყავით.

ეს კულტურა 1948 წლამდე არავითარ შედეგს არ მოგვცემდა. ამასობაში იქნებ ომიც დამთავრებულიყო. მთავარი ის იყო, რომ

შორს ვიყავით ბანაკიდან. მისი სუნი აღარ გვცემდა. მხოლოდ კრემატორიუმის კვამლს ვხედავდით შორიდან. ზოგჯერ ცეცხლი ისეთი ძლიერი იყო, რომ ცაში ნაპერწკლებს ისროდა. საღამოს ჰორიზონტზე აგიზგიზებული საკვამლე მილი მოსჩანდა. ვიცოდით, რომ ეს ჩვეულებრივი საკვამლე მილი კი არა, კრემატორიუმის ლუმელი იყო, კვამლი იმ ხალხისა, რომელთაც შიგ წვავდნენ. მუდამ ვფიქრობდით მათზე, იმ ათასობით ადამიანზე, რომლებიც ნელ-ნელა მიემართებოდნენ კრემატორიუმისაკენ, სიკვდილისაკენ.

ლაბორატორიის გარშემო ბაღი იყო გაშენებული, სადაც ესესელებისათვის ყვავილები და ბოსტნეული მოჰყავდათ. თუ მებაღეები ყვავილის თაიგულს ამზადებდნენ, ეს იმას ნიშნავდა, რომ რომელიმე ესესელი დაქორწინდა ან მოკვდა.

კაცები ყოველ დილით მოდიოდნენ ბაღში სამუშაოდ. ჩვენ აკრძალული გვქონდა მათთან საუბარი. მაგრამ მაინც ვახერხებდით ორიოდე სიტყვის თქმას. ისინი ქოთნებს გადადგამდნენ ხოლმე, ჩვენ კი ვრწყავდით ჩვენს ნათესს მარცვლებს და ვახერხებდით ლაპარაკს. (რადგან საექსპერიმენტო კულტურა ლაბორატორიას ეკუთვნოდა, ჩვენი რაზმის განკარგულებაში იყო). ისინი ახალ ამბებს გვატყობინებდნენ ხოლმე, მათ ყოველთვის ყველაფერი იცოდნენ. ზოგიერთ ჩვენგანს მათ შორის მეგობარი ჰყავდა, ზოგს საქმროც, როგორც ლილის. მისი საქმრო პოლონელი იყო. აქ შეუყვარდათ და მალულად შესცქეროდნენ ერთმანეთს. მხოლოდ რამდენიმე სიტყვის თქმას თუ მოახერხებდნენ ხოლმე. თავის საქმროს ეკეკლუცებოდა ლილი. კოხტად გამოცქრიალდებოდა ლაბორატორიიდან, მკლავზე გადაკიდებული კალათით, რომელშიც ფესვები ელაგა. ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს სადღაც სხვაგან მიდიოდა. ფანჯრიდან დაინახავდა საქმროს, რომელიც ფანჯრის რაფასთან ჩაცუცქული ელოდა. ამიტომ იკეთებდა კაბაზე თეთრ საყელოს, თუმცა მალავდა, რადგან აკრძალული იყო, მაგრამ დამამზადებელ სახელოსნოში მომუშავე ტყვე მამაკაცებთან ვიყავით დაკავშირებული და ისინი გვეხმარებოდნენ.

როდესაც ლილის თავისი საქმრო რაიმეს მოუტანდა — ეს იქნებოდა ერთი სიგარეტი საკუთარი ულუფიდან თუ მოპარული კიტრი — გოგრის ფოთლის ქვეშ ამოდებდა, ჭასთან. პატარა ბარათსაც ტოვებდა. ლილი იღებდა და თითონაც სტოვებდა ბარათს გოგრის ფოთლის ქვეშ. საერთოდ წერა აკრძალული იყო, მითუმეტეს, მამაკაცებთან მიმოწერა. მაგრამ, აბა, ასე წინდაუკან სიარულში როგორ მოგვეხერხებინა ერთმანეთთან საუბარი. კალათები ყოველთვის სავსე იყო ამ ფესვებით და ვინც გადიოდა კაცებთან სასაუბროდ, კალათა მიჰქონდა. ლაბორატორიის უკანა კარებიდან ბრუნდებოდა და მერე სხვას გადასცემდა.

ლილიც წერდა. წერდა როგორ ატარებდა საღამოებს, ღამე მისთვის შვება იყო, რადგან წერის საშუალება ჰქონდა.

ერთ დღეს ლილის საქმრო არ მოვიდა. სხვა ჯგუფში გადაეყვანათ სამუშაოდ. მან ამხანაგს აუხსნა, სად უნდა ეპოვნა ლილის წერილი. სამუშაოდან დაბრუნებისას ბანაკის შესასვლელთან დაუვარდა ბარათი. საცვალში ჰქონდა შენახული. ჯიბეში რაიმეს შენახვა აკრძალული იყო, ვაჩხრეკა ჯიბეებიდან იწყებოდა. ერთ-ერთმა ესესელმა დაინახა და ჲაუძახა. დაკითხეს. აღიარა, ბარათი ჩემიაო. მაგრამ რატომ აწერდა ხელს ლილი? ამის თქმა არ უნდოდა. ბევრი სცემეს. პოლიციისათვის ადვილი იყო ლილის მოძებნა ლაბორატორიაში. მაინც სცემეს. მერე მოედანზე, სამზარეულოს წინ ყველა პატიმარი მორეკეს. კომენდანტმა განაცხადა, ყველას დავხვრეტთ, ვინც ლილის ხელმოწერით მიიღებს ბარათსო, რომელშიც უთუოდ პოლიტიკურ შიფრს გადასცემთო. გესტაპოსათვის ყველაფერი კოდი იყო. სასიყვარულო სიტყვები პოლიტიკურად გადათარგმნეს. ამხანაგი რომ არ დაეხვრიტათ, ლილის საქმრო რიგიდან გამოვიდა. ორივენი დაამწყვდიეს. მეორე დღეს ესესელები ლილის წასაყვანად მოვიდნენ. ის გაჰყვა მათ, მიდიოდა მზით განათებულ გზაზე და იქნებ არც იცოდა რისთვის, სამივე დახვრიტეს.

ლილი კი წერილში წერდა: „ჩვენ ბუნების შვილები ვართ, მის მიერ შექმნილი სიცოცხლით სავსე ყლორტები, რომელთაც ზრდა და არსებობა სწყურიათ, და როგორ შემიძლია გულგრილად ვიფიქრო იმაზე, რომ მათ სიცოცხლე არ უწერიათ“.



მხატვარი ნანი შალიკაშვილი

ფრანგულიდან თარგმნა როენა ყენიამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა




# და მიჰქონდათ დროშები მაღლა!


თამარ ჭუმბაძე


ვარა ღვანიძე

Სურათებიდანაც მიხვდებით. ეს ორი პატიოსანი მანდილოსანი მთელ ცხოვრებას რომ არაჩვეულებრივ სიწმინდესა და საქმისადმი ფანატიკურ ერთგულებაში გაატარებდა. დიახ. ასე იყო! უფრო მეტიც. ისინი იმ შეგნებით იყვნენ დაჯილდოებულნი. რომ საზოგადოებრივი საქმე ყველაფერზე წინ დაეყენებინათ. ხალხის ერთგულება მათთვის ყველაზე მთავარი იყო. მზად იყვნენ ახალფეხადგმულ საბჭოთა ხელისუფლების იდეალებისათვის ბევრჯერ სიცოცხლე დაუშურველად გაეღოთ. ოჯახს და ქმარ-შვილს უმათობა როგორმე მოეთმინათ და მეუღლეებიც თანამონაწილედ გაეყოლებინათ. ისინი იმ დროის ადამიანები არიან, როცა კოცონი რევოლუციისა ჯერ კიდევ თბილი იყო, მისი მონაპოვარი კი რამდენიმე წელს ითვლიდა. ადამიანებიდან ზოგს სჯეროდა და ზოგს არა. რომ გაცხადდებოდა ლენინური იდეები, გაიმარჯვებდა სოციალიზმი. ვისაც სჯეროდა, მათ შორის ესენიც იყვნენ, ვისაც არა და მათ დარწმუნებასა და დარაზმვაში ახალგაზრდულ ზღვა ენერგიას უშურველად ხარჯავდნენ.

მაშინ რაიკომებთან ჩამოყალიბებულ ქალთა განყოფილებებში მუშაობა ხომ გმირობა იყო! ამით დაიწყო ვარა ხარაძე-ღვანიძემ ამ ქვეყნის შენება. ლამაზმა ქალიშვილმა კომკავშირის ბილეთი სათუთად შეინახა და ხარაგოულელ ქალთათვის ზრუნვას შეუდგა. იგი ყველა მათ სატკივარს უვლიდა და მკურნალობდა, მაშინდელ ძნელ პირობებში აგვარებდა მათი განათლების, იდეური წრთობის, ქვეყნის სასიკეთო შრომაში ჩაბმის საკითხებს, რაზმავდა ქალებს საქართველოში სოციალიზმის საძირკველის ჩაყრისათვის, ახალი ცხოვრების ყლორტების გახარებისათვის. ამ მისიის შესასრულებლად მას პარტია სხვადასხვა მხარეებში აგზავნიდა ქალთა განყოფილების გამგედ.

გათხოვდა. ზესტაფონელი ლამაზი ქალები დაჩრდილა სვირელ დავით ღვანიძის ოჯახში შესულმა პატარძალმა. ვის ეცალა მაშინ ეფიქ-

## სიტყვას ვაძლევთ სკკპ XXVII ყრილობის დელეგატებს—

სკკპ XXVII ყრილობის დელეგატები გარდაქმნის, დაჩქარების მარჯვენაფლანგელთა რიგებს ამშვენებენ, პირადი მაგალითით შრომით კოლექტივებს აღაფრთოვანებენ.

„საქართველოს ქალის" კორესპონდენტის დ. ქათამაძის შეკითხვაზე — როგორი იყო თქვენი ყრილობისშემდგომი ერთი წელი და რა შრომითს საჩუქრებს უმზადებთ დიდი ოქტომბრის 70-ე წლისთავს, — უპასუხებენ საბჭოთა საქართველოდან წარგზავნილი დელეგატები.

**გულნარა გოგიტიძე,**

**ქობულეთის რაიონის ხუცუბნის კოლმეურნეობის მეციტრუსე:**

— ყველა ხუცუბნელი ქალი მეჩაიეც არის და მეციტრუსეც. სუბტროპიკული მცენარეების პლანტაციებიდან მოდის ხუცუბნელთა შეძლებული ცხოვრების დაუშრეტელი წყარო, ყოველი ოჯახის ხვავი და ბარაქა.

შარშან პირადად მე კოლმეურნეობის პლანტაციებში ცამეტი ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, ტონანახევარი ციტრუსი და ერთი ტონა ტუნგი მოვკრიფე, რისთვისაც ოჯახს 3.358 მანეთი შევმატე.

გარდა ამისა, ჩემმა ოჯახმა საკარმიდამო ნაკვეთის მოსავალიც უხვად მიჰყიდა სახელმწიფოს, რისთვისაც ხუთი ათას მანეთზე მეტი დამატებითი შემოსავალი მივიღეთ.

ხუცუბანში ყველა შეძლებულად ცხოვრობს. ეს სიკეთე დიდმა ოქტომბერმა მოგვიტანა. ამიტომაა, რომ ოქტომბრის 70-ე წლისთავის იუბილესათვის მთელი სოფელი, ყველა ოჯახი ემზადება. საიუბილეო წელს რეკორდული შედეგები — ასეთია შეჯიბრების დევიზი. იგი მშრომელი ადამიანების მარჯვენით კონკრეტულ საქმეებში ჰპოვებს გამოხატულებას. ფესვმაგარი, აყვავებული ხუცუბანი კიდევ უფრო ძლიერი და მშვენიერი გახდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა სილამაზეზე! ვარა ღვანიძე მეორე სვირის ოთხწლიანი სკოლის გამგე-მასწავლებლად დაინიშნა. ყაყაჩოებივით მომრავლებულ ბავშვებს სწავლისათვის ოთხწლედი აღარ ჰყოფნიდათ. თანაც სრულწლოვანებსაც სჭირდებოდათ წერა-კითხვის სწავლა. ვარა ღვანიძემ შვიდწლედის გახსნა მოახერხა და სწავლის საქმე წინ წავიდა. ცოდნის გამავრცელებელიც იყო მაშინ იგი და კოლმეურნეობის ჩამოყალიბების ერთ-ერთი აქტიური მონაწილეც. ქვეყანას ხალხის შრომაც ისევე სჭირდებოდა, როგორც სწავლა, ამ მშვიდობიანი ბრძოლის წლებში ღვანიძეების ოჯახი თანდათან ძლიერდებოდა, მრავლდებოდა, ფეხზე საიმედოდ დგებოდა.

დღეს ზემოიმერეთის მთაგორებზე იარუსებივით შეფენილი სოფელი მეორე სვირი, ერთ მხარეს რომ მყვირალა ყვირილა ჩამოუდის, მეორე მხარეს კი პირველ სვირს მდინარე შაველათი და ზედ გადებული ხიდით ემიჯნება, სულ არა ჰგავს ადრინდელს, პატარძლისეულს, მაშინდელს. კეთილმოწყობილი სახლებით, ორი საშუალო სკოლით, საკოლმეურნეო მინდვრებით, ვენახებით, ფერმებით დამშვენებული მდიდარი, მძლავრი მეორე სვირი ვარა ღვანიძის ხელში გაიზარდა და დავაუკაცდა. სამაგიეროდ პატივს სცემს და სიხარულს მიაგებს საქართველოს დამსახურებულ მასწავლებელს, ზესტაფონის რაიონის ქალთა საბჭოს ვეტერანთა სექციის წევრს, ულოცავს იუბილეს, დაბადების 80 წლისთავს, ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს უსურვებს მისი ლამაზი სოფელი.

მართლაც რომ, განუმეორებელი სილამაზისაა მეორე სვირი. სახლი სახლს ხან გვერდით ემეზობლება, ხან ზემოდან დასცქერის, ბილიკი ბილიკს ხან მისდევს და ხან ეკარგება. მზე სადღაც ქვემოდან ამოწვერავს და მერე უცბად გაწვება გორაკზე, რომ ყველას ფეხქვეშ გაეფინოს, ერთნაირად გაათბოს... ზესტაფონელი რკინიგზელის შვილი თალიკო მეგრელიშვილი აქ კომკავშირის დავალებით ხშირად ამოდიოდა, რომ სვირელები კოლექტივიზაციის სიკეთეში დაერწმუნებინა. დადიოდა ოჯახებში და ზოგჯერ ცხვირწინ უხურავდნენ კარს, ზოგჯერ ლანძღვასაც მიაყოლებდნენ ხოლმე, ზოგჯერ ნაჯახითაც ხვდებოდნენ... ერთბაშად ყველა ვერ ერკვეოდა, რა იყო სოციალიზმი და რა სიკეთეს მოიტანდა იგი. გლეხებს ვერ გადაეწყვიტათ, როგორ ეთქვათ უარი საკუთარ სარჩო-ქონებაზე და როგორ გადაეცათ კოლმეურნეობისათვის ის, რაც გააჩნდათ. სოფელში იყვნენ ისეთებიც, რომლებიც გვერდში ედგნენ ქალბატონ თალიკოს და მძიმე მოვალეობას — გლეხების ქონების აღრიცხვასა და კოლმეურნეობაში გაწევრიანებას უმსუბუქებდნენ.

ოცნებები თავის გზით დაატარებდა ყმაწვილ ქალს. ზესტაფონში დაამთავრა შვიდწლედი, პედაგოგიური სასწავლებელი, თბილისის სამხატვრო აკადემიამ სიამოვნებით მიიღო ნიჭიერი ფერმწერი, მაგრამ ოჯახმა უკან დააბრუნა შვილი და ქალიშვილსაც საოცნებო ფრთები შეეკვეცა. ჩვიდმეტი წლისა დედმამამ სვირში ორწლიანი სკოლის გამგე-მასწავლებლად ჩაიყვანა. შემდეგ ოთხწლედში გადავიდა მასწავლებლად, შემდეგ რვაწლედში, საშუალო სკოლაც შეიმატეს და განათლება წყაროს წყალივით წამოვიდა სოფელში. მცდელობა და შრომა არ დაუკლია ქალბატონ თალიკოს ახალი სკოლის დაარსებისათვის, და საერთოდ, ბევრი მადლიანი საქმის წამოწყებისათვის.

აქვე გათხოვდა და დიდი ამაგი დასდო ქმრის, აკაკი ჯულელის მრავალრიცხოვან ოჯახს. მეუღლეც ყველაფერში თანაუგრძნობდა და საზოგადოებრივ შრომას თავისი მონაწილეობითაც უმსუბუქებდა, ახალისებდა და შემწედ ედგა. ახალგაზრდობა თითქმის მოთავებული ჰქონდათ, რომ საკუთარი სახლი აიშენეს, ყვირილას პირას ვენახები ახარეს. მთავარი კი თალიკო ჯულელისათვის მაინც სკოლა იყო, ბავშვები, მათი დაფრთიანება. სკოლაც ვერ თმობდა კარგ მასწავლებელს და დიდხანს, დიდხანს არ უშვებდა. პენსიაზე აქედან გავიდა, მაგრამ ზესტაფონის რაიონის ქალთა საბჭოს აქტიური წევრი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, ,,საპატიო ნიშნის" ორდენოსანი თალიკო ჯულელი კვლავ შემოქმედებითი ცხოვრებით ცხოვრობს, საზოგადოებრივ საქმიანობას ძველებური ენთუზიაზმით აგრძელებს.

ასეთი ენთუზიასტები, ჭკუისმასწავლებლები მუდამ სჭირდება სოფელს.

ლია კაკაბაძე

# დაჩქარების, გარდაქმნის მარჯვენაფლანგელებს

## ნათელა ფუტკარაძე,

**შუახევის რაიონის ოლადაურის კოლმეურნეობის მეთამბაქოე:**

— წინსვლის, ეკონომიკის განმტკიცების წელი იყო 1986 ჩვენი კოლმეურნეობისათვის, მასში გაერთიანებული ყველა ოჯახისათვის.

განსაკუთრებით ისახელეს თავი მეთამბაქოეებმა. კოლმეურნეობამ, ნაცვლად 108,5 ტონისა, 132,5 ტონა მაღალხარისხოვანი თამბაქო მიჰყიდა სახელმწიფოს, პირადად მე კი — 420 კილოგრამის ნაცვლად 925 კილოგრამი.

საიუბილეო წელს, ამ ციფრს, როგორც იტყვიან, „დავამრგვალებ" და 1.000 კილოგრამ მაღალხარისხოვან თამბაქოს მოვიწევ.

## ეთერ ცირამუა,

**ჩხოროწყუს რაიონის ხაბუმეს კოლმეურნეობის წევრი, შრომითი დიდების ორდენების სრული კავალერი:**

— ჩაის პლანტაციებში თავდადებულმა შრომამ გამითქვა სახელი. პარტიის XXVII ყრილობიდან რომ დავბრუნდი, გაორკეცებული მონდომებით შევუდექი მუშაობას, ყრილობისშემდგომ წელს ორ ჰექტარ ჩაის პლანტაციაში ნაცვლად ათი ტონისა ჩვიდმეტი ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მოვკრიფე. საიუბილეოდ ამ მაჩვენებელს თვრამეტ ტონამდე გავზრდი. საამისოდ გამოვიყენებ ინტენსიურ ტექნოლოგიას. იგი ზრდის ჩაის მოსავლიანობას, აუმჯობესებს ნედლეულის ხარისხს, ამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას.

## ლუბა კასლანძია,

**ოჩამჩირის რაიონის სოფელ კუტოლის კოლმეურნეობის წევრი:**

— ყრილობისშემდგომი წელი მკაცრი გამოცდა იყო მეჩაიეებისათვის. ბუნების კაპრიზებს ყველგან მაღალორგანიზებული შრომა დაუპირისპირდა და დიდი ჩაისათვის ბრძოლა წარმატებით დამთავრდა.

ამ გამარჯვებაში ჩემი წვლილიც არის. თოთხმეტნახევარი ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ჩავაბარე გადამმუშავებელ მრეწველობას.

ყოველმხრივ მომზადებული ვხვდები ჩაის ფოთლის კრეფის მოახლოებულ სეზონს. სანიმუშოდ დამუშავებულ პლანტაციაში წლეულს თხუთმეტ ტონა ჩაის ხარისხოვან ფოთოლს მოვკრეფ და ეს იქნება ჩემი საოქტომბრო შრომითი საჩუქარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ილიას იუბილეს იმედით

ი. ჭავჭავაძე მტკიცე დარაჯად ედგა საქართველოს და ქართველ ხალხს. მისთვის მთავარი იყო ყველა ის საკითხი, რაც ერის ინტერესებს შეეხებოდა და ერის მოთხოვნილებიდან გამომდინარეობდა. ერთ-ერთ ასეთ მთავარ საკითხად მას მიაჩნდა ქალთა სასწავლებლის დასაარსებლად საჭირო თანხის გამოძებნა.

პირველად ქალთა სკოლის გახსნის პროგრამა დიმიტრი ბაქრაძემ შეიმუშავა გასული საუკუნის 80-იან წლებში. იგი დიდხანს ელოდა მის დაარსებას, მაგრამ ეს განუხორციელებელი საქმე ოცნებად ჩაიყოლა საფლავში. გავიდა წლები და იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა საეკლესიო ამბიონიდან დამაჯერებლად იქადაგა დედათა სასწავლებლის გახსნის აუცილებლობა, რამაც სასურველი ნაყოფი გამოიღო. 1887 წელს შეიქმნა ქალთა კომიტეტი მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის თავმჯდომარეობით. გაჩნდა შემოწირულება, მაგრამ საქმე ამის იქით ველარ წავიდა. სკოლის გახსნა არ მოხერხდა.

ამ პერიოდში გაზ. „ცნობის ფურცელმა" დაიწყო ი. ჭავჭავაძის იუბილესადმი მიძღვნილი მასალების ბეჭდვა. დაიბადა კითხვა, რას მოხმარებოდა საიუბილეოდ შემოწირული თანხა. ეს საკითხი პრინციპული იყო და თითოეული ცდილობდა სათანადო არგუმენტებით დაესაბუთებინა თავისი წინადადება. საქმე გართულდა. ზოგი ითხოვდა იმ თანხით შოთა რუსთაველის ძეგლი აგებულიყო, ზოგი სწავლამოწყურებულ ნიჭიერი ახალგაზრდებისათვის დამხმარე ფონდის შექმნას ამჯობინებდა, ზოგიც გ. ერისთავის მიერ ნაანდერძევ ოძისის მამულში სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის გახსნას უჭერდა მხარს.

საზოგადოების გარკვეულ ნაწილს სამართლიანად მიაჩნდა გადამწყვეტი სიტყვა თვით იუბილარს ეთქვა და ისევე ეხელმძღვანელა ამ თანხის განაწილებისათვის, როგორც ზრუნავდა იგი ორმოცი წლის განმავლობაში საქართველოსა და ქართველი ხალხის ბედიღბალზე.

ქალთა კომიტეტის წარმომადგენელმაც თქვა თავისი სიტყვა. პატარა, მოკრძალებული წერილის ავტორი „ქალი" ამჯობინებდა, ხსენებული შემოწირულება მოხმარებოდა უფრო საჭირო და ერისათვის სასარგებლო საქმეს — საშუალო საქალებო სასწავლებლის დაარსებას, რომელიც შემდეგში ბანკის დახმარებით იარსებებდა. „ქალი" თავის მოსაზრებას უწოდებს საზოგადოებრივ აზრს და ითხოვს საიუბილეო კომიტეტის სხდომებზე მისთვის დიდი ანგარიშის გაწევას. „ქალს" მრავალი მომხრე გამოუჩნდა. გ. წულუკიძის აზრით საქალებო სკოლის დაარსების დაგვიანებას შეეძლო დიდი ზიანი მიეყენებინა ქართველი ერისათვის, რადგან ეს ის მტკივნეული ადგილი იყო, რომელსაც აქამდეც ეჭირვებოდა წამალი და მზრუნველი მკურნალი. „დედაა მომავლის დასაბამი" — აღნიშნავდა გ. წულუკიძე.

მოხდა ისე, რომ საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ ქრ. მამაცაშვილმა უარყო ყველა წინადადება და კომიტეტის წევრთა კრებას განსახილველად წარუდგინა თავისი მომზადებული პროგრამის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა შემოსული თანხისაგან ქართულ სიძველეთა მუზეუმის აგებას. პროექტი ერთხმად მიიღეს სამოქმედო პროგრამად, რასაც მრავალთა უკმაყოფილება მოჰყვა. ყველაზე მეტად ახმაურდა ერის ბედზე ღრმად დაფიქრებული მ. ბაქრაძე. მას მიაჩნდა, რომ ეს გადაწყვეტილება არ იყო მართებული, რომ იგი ვერ დააკმაყოფილებდა ვერც ხალხისა და ილიას და ვერც სამშობლოს ფარგლებს გარეთ მყოფ თანამემამულეთა წადილს. იგი თვით იყო მოწმე საქართველოს განაპირა მხარეებში მცხოვრები ქართველი ქალების მორალური გადაგვარებისა, რაც გამოიხატებოდა მათ მიერ დედაენის დაუნანებლად უარყოფაში, ზნე-ჩვეულებისა და ხასიათის შეცვლაში.

მ. ბაქრაძე კატეგორიული ტონით აცხადებდა, რომ ქალთა სასწავლებლის დაარსება საშური იყო არამც თუ იმ დროს, არამედ ერთი საუკუნის წინაც.

საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე ქრ. მამაცაშვილი არანაკლებ იყო დაინტერესებული ქალთა სასწავლებლის დაარსებით, მაგრამ თუ ქართული მუზეუმის აგების საკითხს უფრო დაუჭირა მხარი, ეს იმიტომ, რომ მისთვის ცნობილი იყო ი. ჭავჭავაძის სამომავლო გეგმები.

კომიტეტის თავმჯდომარემ პრესის საშუალებით საზოგადოებას მისცა ახსნა-განმარტება თუ როგორ ფიქრობდა ი. ჭავჭავაძე საქალებო სასწავლებლის დაარსებას. ყველასათვის ცნობილი იყო დიდი ილიას ზრუნვა ქალთა განათლების პრობლემის მოსაგვარებლად. იგი თაყვანს სცემდა იმ ქართველ დედათა აჩრდილებს, ვინც „უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა" და მოუწოდებდა თანამედროვე ქალს..." „ისე აღზარდე შენ შვილის სული, რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება, უკან ჰრჩეს კვალი განათლებული".

ი. ჭავჭავაძეს უახლოეს გეგმად ესახებოდა ქალთა სასწავლებლის რეალურად დაარსების შესაძლებლობა. გადაწყვეტილი ჰქონდა ბანკის შემოსავლიდან გამოეყო ერთდროულად დიდი თანხა, გაეხსნა ქალთა საშუალო სასწავლებელი და შემდეგ ყოველწლიურად დოტაცია დაენიშნა მისთვის. აი ეს არის ყველაზე უფრო იმედიანი, ერთადერთი ნამდვილი გზა, აი, სწორედ ამ გზით აპირებს ი. ჭავჭავაძე საქალებო სასწავლებლის გახსნასო, — აღნიშნავდა ქრ. მამაცაშვილი.

შემდგომში, სამწუხაროდ, ილიას იუბილე არ შედგა...

ამასთანავე, დაძაბულმა პოლიტიკურმა ვითარებამ სხვა გზით წარმართა საზოგადოებრივი ცხოვრება და მრავალთათვის საოცნებო საქალებო სასწავლებლის გახსნის საკითხიც იმჯერად გადაუწყვეტელი დარჩა.

მაყვალა გაჩეჩილაძე,
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კვლავაც მღეროდეს ფუნჯი

საქართველოს სახალხო მხატვრის რუსუდან ჯავრიშვილის შემოქმედებითი გზა უკვე ხუთ ათეულს უახლოვდება. თუ გამოვითვლით 1940 წლიდან, როცა თბილისის სამხატვრო აკადემია დაამთავრა, მრავალი მაღალმხატვრული ფერწერული ტილოს ავტორს თამამად შეუძლია გაიმეოროს ფრთიანი გამოთქმა „ჩემი წლები ჩემი სიმდიდრეაო". ჭეშმარიტად სიმდიდრეა მისი წლები, რამეთუ, დროთა სვლა ქართულ მხატვრობას მის ახალ ქმნილებებს მატებს, ეროვნულ საგანძურს ამდიდრებს, საკუთარი ხმით გამორჩეულ ნაკადად ერწყმის.

რუსუდან ჯავრიშვილის შემოქმედება სიცოცხლისუნარიანია, ვინაიდან ხელოვნების მარადიულ კანონზომიერებათა საფუძველზეა აღმოცენებული — სულისმიერ სიმართლეზე, ნიჭის შთაგონებას რომ წარმართავს. ამ თვისებებით კი ბუნება ბევრს როდი აჯილდოებს. დღეს რამდენიც გნებავთ ჩვენს თვალწინაა მაგალითები, როცა ნიჭიერება გაუცხოებულია სიმართლესა და გულწრფელობასთან, ან კიდევ უარესი — როცა არც ერთია, არც მეორე და ხელოვნებად კი სურს მოგვაჩვენოს თავი, თანაც ახალი სიტყვის მთქმელ ნოვატორულ ხელოვნებად.

მაგრამ, როგორც ბრძნულად უთქვამთ — „წყალნი წავლენ და წამოვლენ ქვიშანი დარჩებიანო"... რუსუდან ჯავრიშვილი იმ რჩეულთა შორისაა, ვისი ქმნილებებიც ადამიანის პოეტური სულის ამოძახილია. მის ტილოებში ბოლომდე განცდილი და გათავისებულია სინამდვილის მშვენიერება, ეროვნულის სურნელება. საქართველოს ბუნების ამოუწურავად მრავალფეროვანი სილამაზე მხატვრის ნაწარმოებებში ხორცს ისხამს ხან პანორამულად გადაწყვეტილ დიდებულ პეიზაჟურ ხედებში, ხანაც ბუნების ლირიკულ მოტივებში. არ დარჩენილა მშობლიური მიწა-წყლის კუთხე-კუნჭული, რუსუდან ჯავრიშვილს რომ არ მოევლოს. და არც გასაკვირია, — თუ მხატვრად დაბადებულხარ, თავად ბუნება-მხატვარია შენი ერთადერთი შთამაგონებელი, შენი ოსტატობის დაწხვეწავი, მშვენიერების საიდუმლოებათა მაზიარებელი. მხოლოდ ფაქიზი სულის შემოქმედს შეუძლია შეიგრძნოს, დაინახოს და გახსნას ეს საიდუმლოებანი, წაართვას იგი ბუნებას და საკუთარ სულში გამოტარებული დაანახოს ადამიანებს. ურიცხვ ტილოთა შორის, შემოქმედებითად დატვირთული წლების მანძილზე რომ შეუქმნია ფერმწერალს, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით ირჩევა რიგი ნამუშევრებისა, რომლებშიც მიღწეულია შთამბეჭდავი სურათოვნება, იქმნება მოვლენის სახე, მისი კონკრეტული თავისებურებით, შინაგანი განწყობილებით, განუმეორებელი იერით. ფერის ნატიფი გრძნობით დაჯილდოებული ფერმწერალი ხან რბილი მოდელირებითა და ჰაეროვანი გადასვლებით ამოწერს თითოეულ ფორმას, ხანაც შუქ-ჩრდილთა კონტრასტულ თამაშზე აგებს კოლორიტს, გააჩნია რას სთავაზობს თვით თემა, პეიზაჟის მოტივი მის ცვალებად მშვენიერებაში.

მას აქვს პეიზაჟი — სურათებით დაწყებული, ლირიკული ჟღერადობის ბუნების ხედებით დამთავრებული. მხატვრის შემოქმედება მოიცავს უსაზღვროდ მრავალფეროვან თემა-მოტივს (მათ შორისაა ვრცელი და საინტერესო თბილისური ციკლი), გარდა მშობლიური ბუნების, — ქალაქებისა თუ სოფლების, პეიზაჟის ინტიმური კუთხეებისა, თუ ახალმშენებლობათა ხედებისა, მის ვრცელ მემკვიდრეობას ამდიდრებს საბჭოთა კავშირში და უცხოეთის ქვეყნებში მოგზაურობის შთაბეჭდილებით შექმნილი ნამუშევრები. ეს ნაწარმოებები, ასევე ზეთისა, გუაშისა და აკვარელის საღებავებით შესრულებული, ხატოვნად წარმოსახავს ამა თუ იმ ქვეყნის ცალკეულ კუთხეებს, ქალაქების იერს, პეიზაჟს...

რუსუდან ჯავრიშვილის ტილოებს შორის ბევრი მეტყველი ქართული ნატურმორტი და პორტრეტული სახეცაა. ეროვნული სურნელებით გვიზიდავს ჟანრული ელფერის პეიზაჟური კომპოზიციებიც მასში მოქმედი ადამიანებით.

რუსუდან ჯავრიშვილი რესპუბლიკაში მოწყობილი დიდი თუ მცირე მასშტაბის გამოფენების აქტიური მონაწილეა. 1964 წლიდან მოყოლებული, მან ხუთჯერ მოაწყო ვრცელი პერსონალური გამოფენა. მხატვრის შემოქმედებას მრავალგზის გაცნობიან მოსკოვში, ლენინგრადში, მოძმე რესპუბლიკებში, საზღვარგარეთ. ნაყოფიერია მისი პედაგოგიური მოღვაწეობაც, მისი წვლილი ბავშვთა მხატვრული აღზრდის საქმეში. თითქმის ოცი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა იგი ნორჩ მხატვართა წრეებს თბილისის პირველი მაისის რაიონის საშუალო სკოლებში, რისთვისაც დაჯილდოვდა სამკერდე ნიშნით „სახალხო განათლების წარჩინებული".

რუსუდან ჯავრიშვილის ნამუშევართა ერთ-ერთ პერსონალურ გამოფენაზე, შთაბეჭდილებათა წიგნში ანა კალანდაძეს ჩაუწერია:

„თქვენი სურათიდან „ჩვენებურები" დიდი, გაოცებული თვალებით შემოგვცქერიან ერთაწმინდის ტაძრის ძველ გალავანზე ჩიტებივით ჩამომსხდარი გოგო-ბიჭები. ვისურვებდი, ასე გაოცებით და მოჯადოებით მდგარიყონ მომავალი თაობები მზით გაჩახჩახებული თქვენი ტილოების წინაშე".

ასეც იქნება!

ლეილა თაბუკაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



რკონის ძველი ხიდი



ძველი თბილისის ჩიხი



სახლები მეტეხის კლდეზე



დედის ტვირთი

ეროვნული ბიბლიოთეკა



დაუსრულებელი მოლოდინი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ქალაქი ბრუგე (ბელგია)



გლეხის კარმიდამო ერთაწმინდაში



ერთაწმინდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საყვარელ ქუჩაზე, საყვარელ თეატრში



რეჟისორი რობერტ სტურუა არქიტექტორებთან

წლეულს, 14 იანვარს, ქართული თეატრის დღეს საბოლოოდ დასრულდა დიდი შესვენება. თბილისის უძველესმა თეატრმა ფართოდ გაუღო კარი მაყურებელს. ამიერიდან საყვარელ ქუჩაზე ჩავლილ თბილისელებსა და მათ სტუმრებს თვალში აღარ ეცემათ ხარაჩოებშემორტყმული შენობა აყრილ-დაყრილი მისასვლელებით. სამაგიეროდ, ყურადღებას მიიპყრობს მუქი ხის კარებები, ფართო ვიტრინები და იმათ შიგნიდან გამომზირალი დიდებული ინტერიერი.

ოთხ წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდა რუსთაველის თეატრის შენობის რემონტი. უფრო სწორად, ეს იყო რეკონსტრუქციაც, რესტავრაციაც და რეგენერაციაც. გარდა იმისა, რომ თეატრი ვერც მსახიობებისა და ვერც მაყურებლისათვის გაწეული კომფორტით ვერ დაიკვეხნიდა, საუკუნეგამოვლილ შენობასაც მიხედვა სჭირდებოდა. ასე რომ, არქიტექტორების წინაშე რამდენიმე საკითხი დაისვა: რეკონსტრუქციას სამუშაო პირობები უნდა გაეუმჯობესებინა თეატრის ყველა მუშაკისათვის, უფრო მეტი კომფორტი დაეხვედრებინა მაყურებლისათვის და რაც მთავარია, რესტავრაცია-რეგენერაცია გაეკეთებინა შენობისათვის (არქიტექტურულ-მხატვრული თვალსაზრისით საინტერესო, ძველისძველი ნაგებობა ამის ღირსი იყო).

არქიტექტორებმა ო. ნახუცრიშვილმა და ვ. ორბელაძემ საგულდაგულოდ შეისწავლეს შენობა, შედგა რეკონსტრუქციის პროექტი, დაიწყო მუშაობა და აღმოჩნდა, რომ იგი იმაზე უფრო რთული და მრავალმხრივი ნაგებობა იყო, ვიდრე ხუროთმოძღვრებს ეგონათ. ერთი საქმის დაწყება მეორის მოგვარებას საჭიროებდა, ისეთისას, რომლის არსებობასაც მანამდე ვერავინ წარმოიდგენდა. ამიტომაც არქიტექტორები თეატრის შენობაში „დასახლდნენ“ და უშუალოდ ადევნებდნენ თვალყურს სარეკონსტრუქციო სამუშაოებს. მუშა-ნახაზებში ყოველდღე რაღაც იცვლებოდა, ემატებოდა, აკლდებოდა.

შენობაში მთლიანად გამოიცვალა ყველანაირ საინჟინრო მოწყობილობათა სისტემები (წყალსადენი, კანალიზაცია, თბოქსელი), ვენტილაცია, ელექტროქსელი. ნაგებობას ძნელაძის ქუჩის მხრიდან მიაშენეს მოზრდილი ნაწილი. ძველი შენობიდან იქ გადავიდა ყველა სახის დამხმარე სათავსო. მათ ხარჯზე კი შესამჩნევად „გაფართოვდა“ თვითონ თეატრი.

იმ ერთადერთ ჩასასვლელ კიბეს, რომელიც ხშირად ვერც კი იტევდა მაყურებელს, „მიემატა“ მეორე. ზუსტად ისეთივე და ზუსტად მის სიმეტრიულად მდებარე. წინათ ამ კიბით მხოლოდ „თეატრის ხალხი“ სარგებლობდა. ამიერიდან ისიც მაყურებლებს მოემსახურება.

უკან გადაიწია გარდერობმა და გაფართოვდა ქვედა ფოიე, რომელიც ძირითადად თაღების კოლონას წარმოადგენს. ისინი, ერთმანეთის უკან ჩამწკრივებულები, დიდებულ სანახაობას ქმნიან.

აქვე გავიხსენოთ არტისტული კაფე „ქიმერიონი“, ოციანი წლების თბილისი და აქაური ბოჰემა. იმ დროს ეს დარბაზი, ეს თაღები და კედლები გუდიაშვილის, კაკაბაძის, რუდევიკინის ფუნჯით იხატებოდა. მერე გავიდა წლები, კაფეს ადგილი გარდერობმა დაიჭირა, ფრესკები მოსაწყენმა სითეთრემ დაფარა. რესტავრატორებისათვის ყველაზე რთული მათი გაწმენდა და აღდგენა იყო. მათ მოახერხეს, რომ ძველებური ბრწყინვალებით წარმოეჩინათ მივიწყებული, მაგრამ ყველასათვის ძვირფასი ფრესკები.

ყველაზე ლამაზი მაინც მაყურებელთა დარბაზია. აქ თითქმის ყველაფერი გამოიცვალა; სავარძლები, ჭაღები, ხელახლა მოიხატა, მოვარაყდა ჭერი, ბალკონები. ცისფერს ოქროსფერი ენაცვლება. ოქროსფერს მუქი შვინდისფერი.

სცენაზე შეიცვალა ყველა ტექნიკური დანადგარი, განათების სისტემა, დაემატა ახალი მბრუნავი წრეები, მექანიზაციამ ბევრად გააადვილა დეკორაციების დადგმა-გამოცვლა.

თეატრს შეემატა 24 სამსახიობო-საკაზმული ოთახი, გაჩნდა ახალი ფოიე, სადაც მსახიობები თავს მოიყრიან სცენაზე გასვლის წინ, სარეპეტიციო დარბაზი ორკესტრისათვის, ახალი საგრიმიოროები.... თეატრში მოეწყობა საკუთარი პატარა მუზეუმიც.

არქიტექტორებს არც მცირე დარბაზისათვის დაუკლიათ ყურადღება. თეატრს ექნება კიდევ ერთი პატარა სცენა. მას ჯერჯერობით ექსპერიმენტულს უწოდებენ და იგი ახალგაზრდა მსახიობებს დაეთმობა.

თითქოს ყველაფერი დამთავრდა, თუმცა... არც დამთავრებულა. ამიერიდან რუსთაველის თეატრს ყოველწლიურად; ყოველ წელიწადს დასჭირდება არქიტექტორებისა და რესტავრატორების ყურადღება. დასჭირდება, რადგან საუკუნეგამოვლილი შენობა სხვაგვარად საუკუნეებს ვერ გაუძლებს.

**მანანა მაზიაშვილი**

# ხეები ზეზეურად კვდებიან





1984 წელი. ვერიკოს იუბილე

არსებობს ერთი სურათი, დიდ აკაკის მუხლებზე პატარა გოგონა უზის. ეს ვერიკო ანჯაფარიძეა. არსებობს მოგონებაც... აკაკიმ გოგონა ხელში აიყვანა, ზევით ასწია და უთხრა: შენ უნდა ასახელო ჩვენი სამშობლო. ეს კარგად დაიხსომეთ.

* * *

სცენაზე თეთრი ფერი ანათებდა. თეთრი იყო ივდითის სავარძელი. თეთრი იყო სასახლე, რომელშიც დედოფალს ეძინა. პირველად იწვა იგი ასე უძრავად თავის თეატრში. სამგლოვიარო მუსიკას მის გმირთა მშვენიერი, ლირიული ხმები ერთვოდა. კვლავ შემოდიოდნენ ჩვენში მისი ივდითი, მისი ოფელია, მისი მარგარიტა. სულის შემძვრელი ტკივილით ბობოქრობდნენ ეუხენა და ოთარაანთ ქვრივი. იგი კითხულობდა მეგობარ პოეტთა ლექსებს, გვიამბობდა თავის ღრმად ქალურ, ნაზ პოეტურ სულზე. ადამიანებს მოჰქონდათ მისი სამშობლოს მიწაზე დაკრეფილი ყვავილები... უსასრულო ზღვად ლაგდებოდა ყვავილთა წყება მის ირგვლივ. გამომსვლელები კი ამბობდნენ, რომ მისი წასვლით თეატრიდან წავიდა საოცრად დიდი ტრაგიკული მსახიობი არა მარტო ქართული სცენისა, არამედ მთელი დედამიწისა, რომ იგი იყო ერთადერთი და განუმეორებელი, რომ იგი დაამშვენებდა ნებისმიერ დიდ თეატრს, მაგრამ ბედნიერნი და მადლობელნი ვართ, რომ ჩვენი იყო, მხოლოდ ჩვენი, ამბობდნენ, რომ იგი თეატრის ისტორიაში მოვლენა იყო.

* * *

ბოლომდე, ბოლომდე იწვოდა. არ გვინახავს არც დავრდომილი, არც ავადმყოფი. მხოლოდ ზოგჯერ, ნამდვილად ზოგჯერ თუ იტყოდა, მივდივარ, უკვე მივდივარო. სახეზე კი ოდნავი სინანულის ჩრდილსაც ვერ შეამჩნევდით. უკანასკნელად ახალი წელიც დიდი ილიას სიტყვებით რომ მოგვილოცა, სიბერე არ ვარგა, სიბერე ყველა სენზე უარესი სენიაო, — გვითხრა და ერი დალოცა, მარადი ახალგაზრდობა და ძალმოსილება უსურვა. სძაგდა სიბერე. არც იყო მოხუცი. არც მთვარის და არც მზის სათვალავს არ ემორჩილებოდა ის ოთხმოცდაცხრა წელი, მხრებზე რომ აწვა. ახალგაზრდა იყო სულითაც, შთაგონებითაც. და შემოქმედი, რომელიც მუდამ სუფევდა მასში — ბოლო წუთამდე არ მოცილებია. სულ ღლენახევარი სუნთქავდა უსიტყვოდ. შემდეგ კი მისი ბობოქარი ხასიათისთვის უჩვეულოდ, მშვიდად წავიდა. წავიდა როგორც ის ხეები, თავდავიწყებით თვითონ რომ შეგვაყვარა, სასწაულად რომ აქცია.

წერდა, მუშაობდა... დაწერდა ერთ მოგონებას, დაკეცავდა და დადებდა. ბოლო წუთებშიც საწერ მაგიდას უჯდა. გატაცებით უყვარდა თავის უმდიდრეს, ლამაზ წარსულზე თხრობა. როგორ ბრწყინავდა ამ დროს მისი გასაოცარი თვალები. ჰყვებოდა სიცილით, ღიმილით, გატაცებით, ჰყვებოდა სახოვანად. ყველაფერი გუშინდელ დღესავით ახსოვდა. ხშირად ვთხოვდით და ადრე ვერ იცლიდა მოგონებათა წიგნისათვის. ოღონდ დაწერეთ და მე სულ თქვენთან ვიქნები, მოგეხმარებით მეთქი, — ვეუბნებოდი. დავითანხმე, დავიწყეთ კიდეც მუშაობა. იგი ჰყვებოდა, მე კი ვიწერდი. მაგრამ ბოლოს მითხრა: შენ ვერ მომეხმარები, ეს წიგნი მე თვითონ უნდა დავწეროო. დაიწყო. და მართლაც, იმავე ამბებზე, მე რომ ვიწერდი და გასაოცარი სიმდიდრე მეგონა, უდიდესი განსხვავებით და მომხიბვლელობით, სტრიქონსა და სტრიქონს შუა უთქმელად ჩატეული სიტყვით, ისეთი სიბრძნითა და ნიჭიერებით ჰყვებოდა, რომ ჩემი ჩანაწერები უფერული გამოჩნდა (მაინც მიყვარს ისინი, მაინც ძვირფას რელიქვიად შევინახავ). სულ სხვა იყო, როცა თვითონ წერდა. რა დასანანია, რომ ვერ დაამთავრა ეს წიგნი. მაგრამ იგი ალბათ, მაინც გამოვა.

მოულოდნელი შთაგონებებით სავსე იყო ბოლო დროსაც. განა სულ ახლა, რამდენჯერმე კვლავ არ გვაგრძნობინა თავისი სულის კიდევ ახალი გამონათება? ნანა ჯანელიძის ფილმში ვერიკო სწორედ ისეთია, როგორსაც სულ ბოლოს, ცხოვრებაში ვხედავდით — მშვენიერი, მხოლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვენიერი... რომელიც გვიღიმის, გვხიბლავს. იგი ცეკვავს ამ ფილმში. ცეკვავს განუმეორებლად. მხოლოდ ვერიკოსნაირად. მღერის.

სულ ცოტა ხნის წინათ სპექტაკლ „გვირილაში" უსიტყვო როლით ხელოვნების ზეიმში გვარწმუნებდა.

— მე უნდა ვიმუშაო, ვიდრე ვცოცხლობ, უნდა ვიმუშაო. თეატრი ჩემი სიცოცხლეაო, — ამბობდა და კვლავ იდგა სცენაზე — აღარც იმ ცეცხლით, აღარც იმ ლირიზმით, აღარც იმ ტრაგიკული განწირულებით, მაგრამ მშვენიერი, კეთილშობილი, მდიდარი, კვლავ დედოფლური, კვლავ ერთადერთი. იდგა თალხი კაბით, შვილმკვდარი დედის ტკივილით. მისი ცხოვრების შთაგონებულ მთელ ჰარმონიას ეს ერთადერთი ტკივილი იყო, რომ არღვევდა. მუდამ რამაზის საფლავისაკენ მიიწევდა. ისიც თქვა, რამაზთან დამკრძალეთო.

სულ ბოლოს, 26 იანვარს, თეატრის მოღვაწეთა ყრილობა გახსნა. რა ლამაზები ხართ აქედან ყველანი, — მიმართა დარბაზს. გაიღიმა თავისი გასაოცარი ღიმილით:

„რა ბედნიერებაა, რომ ჩვენ ისევ ვიკრიბებით. ეს შეკრება კიდევ ერთი საწყისია სიკეთისა. ჩვენი კავშირი კეთილი კავშირია. თეატრი თავადაა სიკეთე. უნდა გადასდო თავი. მთელი სულიერი, ფიზიკური, ფსიქოლოგიური ენერგია უნდა გასცე, რომ მიაღწიო შედეგს. მსახიობის შრომა არის ერთ-ერთი ურთულესი, მძიმე შრომა. მას ყველაფერი უნდა შესწირო. მე მას შევწირე ოჯახიც კი. მე დავაკელი ოჯახს ჩემი ხელი. დავაკელი ზრუნვა და ყველაფერი შევწირე თეატრს.

ხელოვნება ხომ არის უდიდესი საშუალება ვუმღეროთ სიცოცხლეს ამ ქვეყნად" ასეთი იყო ის დაუვიწყარი უკანასკნელი სიტყვა ვერიკო ანჯაფარიძისა 26 იანვარს.

* * *

რა საოცარი თაობა ჩათავდა. წლების მანძილზე მათი ნიჭით ბრწყინავდა ეს სცენა. მაგრამ მთელს იმ დიდ ბრწყინვალებაში ვერიკო მაინც ერთი და გამორჩეული იყო. წავიდნენ ყველანი და ყველა მან დაიტირა. წუხდა, რატომ მხვდა ასეთი ბედიო. სამოცზე მეტი წლის წინათ სულ პირველი. ვინც ამ სცენაზე ფეხი დაადგა, ვერიკო იყო, ახლა უკანასკნელია იგი, ვინც მისგან მიდის. სულ მალე, ამ სცენასაც დაანგრევენ. ძველის ადგილზე ახალი თეატრი აშენდება და ალბათ, ამაშიც არის რაღაც კანონზომიერი. დაეშვა დიდი ფარდა. ჩათავდა დიდი ეპოქა.

თავისი სილამაზით, ნიჭიერებით, სიბრძნით იგი ჰგავდა თავის მშვენიერ სამშობლოს, ჰგავდა იმ ხალხს, ვისი სისხლი სისხლთაგანი იყო, ვინც ყველაზე მეტად უყვარდა.

ჩვენთანაა მისი დიდი ხელოვნების გაკვეთილები, ანდერძად ისმის მისი სიტყვები ბოლო ფილმიდან — „მონანიება": რა საჭიროა გზა, თუ იგი ტაძართან არ მიმიყვანსო.

დიდო ქალბატონო ვერიკო! თქვენი გზა მივიდა ტაძართან.

თინა კოგალაძე

# რა საოცარი ფერებია...



საფეიქრო მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორთან, — ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატ ნინელი რატიანთან სამუშაო ოთახში ვზივარ. დირექტორის მოადგილემ — ომარ ყანჩაველმა შიფონის რამდენიმე ნიმუში შემოიტანა.

— თქვენი კაბა ლურჯია, მაგრამ აბა ამ ფერს დააკვირდით, — მომაწოდა ქსოვილი, — შეადარეთ და მიხვდებით, რომ თქვენი კაბის ფერი გარდამავალია. ეს კი მკვეთრი ლურჯია. შიფონის ქსოვილს, — რომელიც მე მაცვია, იაპონიაში მსოფლიო სტანდარტთა შორის პრიზი ხვდა. თურმე ლურჯი კი არა და გარდამავალი ფერის ყოფილა.

ვუცქერ ქსოვილთა ფერების ნაირსახეობას. ყავისფერი, წითელი, შავი — საოცრად მდგრადი ფერებია. სიამოვნებას მგვრის ხასხასა ქსოვილთა სიმრავლე.

როგორ მიაღწიეს ამ მყარ ფერებს? ლაბორატორიის გამგე შურა ფიჩხაძე. ნატურალური აბრეშუმის ჩითვის დროს, წლების მანძილზე აქტიური საღებავებით ღებვის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტად სთვლიდა შარდოვანას. მისი გამოყენება სავალდებულოც კი იყო, რომ მომხდარიყო საღებავით ჩითვის პროცესის ინტენსიფიცირება, რაც გამოიხატება საღებავის ნატურალური აბრეშუმის ბოჭკოსთან ურთიერთქმედებით.

შარდოვანა დიდი რაოდენობით იხმარება ღებვის დროს, მაგრამ ამავე დროს ამ ნივთიერებას იყენებენ კვების მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში.

ბევრი იფიქრეს ლაბორატორიის თანამშრომლებმა, თუ რით შეეცვალათ სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობისათვის მეტად საჭირო ეს ნივთიერება. მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ძვირადღირებული შარდოვანა არ გამოიყენონ ქსოვილის ღებვისას და კაპროლაქტამის ნარჩენებით შეცვალონ.

ქსოვილების ჩითვის დროს საღებავის სრულად გამოყენების საკითხი დადებითად გადაიჭრა და ლაბორატორიის გამოკვლევები დამკვიდრდა ქუთაისისა და თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებებში.

ამ სიახლით, რაც მთავარია, ქსოვილი გამდიდრდა მდგრადი, შესახედავად უკეთესი ფერით. ამავე დროს სწრაფდება ქსოვილზე საღებავის ფიქსაციის პროცესი — შარდოვანასთან შედარებით ქსოვილზე ფერის ქმედების დრო დაიზოგა 50 პროცენტით. 1 მილიონ მეტრ ქსოვილზე რვაათასი მანეთის ეკონომია მიიღეს. ეს სიახლეები ინსტიტუტის კოლექტივის მიღწევაა. კვლავ ეძიებენ ქსოვილის ფერთა ახალ ჰარმონიას.

დოდო დონაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა ამონაშვილი,
ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სსრკ პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ კორესპონდენტი.

ბარათი მამებს

# უდანაშაულო

ძვირფასო დედებო! მინდა მოგაწოდოთ რამდენიმე ღია ბარათი, რომლებითაც მამებს მივმართავ. აქ დაბეჭდილი წერილები, ვიცი, პირდაპირ ოჯახებში მივა, დედები უთუოდ საკუთარ ხელში გადასცემთ მამებს და... ალბათ, საოჯახო საუბარსაც გამართავთ.

წერილებით სულაც არ ვაპირებ ვინმეს ჭკუა დავარიგო, მე მხოლოდ მინდა, რომ მამებს ნამდვილი ფაქტები ვუამბო, იქნებ ზოგიერთს გამოადგეს და საკუთარი ცხოვრებისათვის საჭირო დასკვნები თავად გამოიტანოს.

მამები სხვადასხვანაირნი არიან; არიან მოქალაქე მამები და თავკერძა მამები, არიან შვილებს გადაყოლილი მამები და შვილებისაგან გაქცეული მამები, არიან მშრომელი მამები და უქნარა მამები... ჩემმა პედაგოგიკურმა ცხოვრებამ ყველანაირ მამას შემახვედრა.

სხვადასხვანაირ მამებს შვილებიც სხვადასხვანაირი ეზრდებათ. ყველას კი ერთნაირად აკერია პირზე: ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო. თუ მართლა გვინდა, რომ შვილები მამებს სჯობდნენ, მაშინ მამები ერთმანეთს უნდა სჯობდნენ, ცუდი მამები კი...

ჩემი ბარათები რაიმე მეცნიერული პრინციპით არ იქნება დალაგებული. მე მათ დავწერ იმ ძლიერი განცდებისა და შთაბეჭდილებების კვალობაზე, რაც პედაგოგიკური შრომის დროს გამიჩნდება.

ასეთ განცდებს კი ნამდვილად არა ვარ მოკლებული.

* * *

კაბინეტში დედა-შვილი შემოვიდა. ქალს სახით დიდი ხანია ვიცნობ, მაგრამ თუ ამ მეორეკლასელის დედა იყო, არ ვიცოდი. დედამ ბიჭი ძალით შემოაგდო ოთახში, თან სახეზე სასოწარკვეთილება ეხატა და გაავებული ჩანდა. აი, „სცენა", რომელიც ჩემს თვალწინ და ჩემი მონაწილეობით დატრიალდა:

დედას სკამს ვთავაზობ. მინდა დავამშვიდო. ბიჭს ხელში ჩანთა უჭირავს, ამრეზილია და რაღაც ცუდის მოლოდინში კარებთან დგება.

ქალმა თვალებზე ცხვირსახოცი აიფარა და ისე ატირდა, გული დაგეწვებოდა!

ცოტა ხანს ვაცალე, თანაგრძნობით შევყურებ დედასაც და შვილსაც.

რა მოხდა განა ასეთი, რაშია საქმე?

ბიჭს ვიცნობ.

ყველა ბავშვის ბუნებაში ყოველთვის რაღაც კარგი მინდა დავინახო. ამ ბიჭს ჭადრაკის თამაში უყვარს, მათემატიკა ემარჯვება, სხარტი და ხალისიანია. მაგრამ ისიც შემინიშნავს, თუ რა უხეშად ექცევა თანაკლასელ გოგონებს, — თავში ურტყამს. არც მისი ზოგი სიტყვა და გამოთქმა მომწონებია. ამიტომ ხშირად ვუხმობდი ხოლმე ჩემთან და ვეჩურჩულებოდი, როგორ უნდა მოქცეულიყო. კლასის ხელმძღვანელმა რამდენჯერმე რჩევა მკითხა: უხეშობას როგორ გადავაჩვიოო.

—არ ვიცი, რა ვქნა, არ მინდოდა თქვენი შეწუხება, მაგრამ ველარ მოვერიე, არაფერი გამომდის... თუ ღმერთი გწამთ, გააგებინეთ რამე...

— რაშია საქმე? — ლმობიერად ვეკითხები ბიჭს და მინდა ვაგრძნობინო, როგორც დიდს. ის ისევ განზე იყურება, არ მპასუხობს.

— უთხარი შალვა მასწავლებელს, რა სიტყვებით მომმართავ, შე საძაგელო, შენა! — გამწარდა დედა. ახლა დედას ვეკითხები:

— იქნებ თქვენ მითხრათ?

— დაიჯერებთ, რასაც გეტყვით? შტერი ხარო, მეუბნება... მუშტებს მირტყამს, სიტყვას ვერ ვაკადრებ, რომ უარესი არ მიპასუხოს...

— ნუთუ მართლა? — გაოცებით მივმართავ ბიჭს.

— ყოველთვის ასეა, როცა მისგან ბრუნდება... — განაგრიობს დედა, — დღესაც ისეთი რამ მითხრა, გამეორებისაც მრცხვენია! — და ისევ ატირდა.

ბიჭს კითხვის ნიშნით შევხედე.

— აბა, გაბედე... აბა, გაიმეორე ის სიტყვები, შე... — და დედამ განწირული წყევლა მოაყოლა. ბიჭმა გაბოროტებით შეხედა დედას.

— არაფერიც არ მითქვამს... შენ თვითონ მითხარი...

— რა გითხარი? ნუ მიბღვერი-მეთქი, სხვა რა გაკადრე?.. ფული არა მაქვს-მეთქი, ბურთს ვერ გიყიდი-მეთქი, ვერ უნდა გაიგო?..

— მამამ ხომ მოგცა ფული? — შეუტია ბიჭმა.

რა მომცა, ბიჭო, მამაშენმა? სად მიმაქვს მერე მე ის ფული? — უფრო გაცეცხლდა დედა, — აი, ასე გატყუებს მამაშენი, ასე გამხედრებს ჩემს წინააღმდეგ!

ბიჭმა დაუნდობლად მიახალა დედას:

— შენ თვითონ ხარ მატყუარა...

— ხომ ხედავთ, ხომ გესმით, რას მეუბნება ეს საძაგელი... შეხედეთ, როგორ მიყურებს...

— შენ თვითონ ხარ საძაგელი...

დედამ ბიჭს მთელი ძალით გააწნა სახეში სილა.

—მოვკლავ, მოვკლავ ამას, აღარ შემიძლია... სულ მამამისის ბრალია... შეხედეთ, როგორი თვალებით მიყურებს, რა დაუნდობელია! — და ხელმეორედ მოუქნია ხელი.

ეს ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ ვერ მოვასწარი დედისთვის ხელი დამეჭირა.

ბიჭმა დედას ჩანთა ესროლა და გარეთ გავარდა ყვირილით:

— აღარ მოვალ შენთან, ძუნწი ხარ... ცუდი ხარ...

თანამშრომელს ვთხოვე ბიჭს დასდევნებოდა.

ქალი სკამზე დაეშვა და ქვითინით მიამბო:

— შვიდი თვე იქნება, რაც ქმარი სახლიდან წავიდა... სხვა ქალთან წავიდა... ჯანდაბას ჩემი თავი, ჩემს გაუბედურებას არ ვჩივი... არც შვილის ნახვას ვუკრძალავ, ყოველ შაბათ-კვირას მოადგება საკუთარი მანქანით და თავისთან მიჰყავს... რას ეუბნება, რას არიგებს, არ ვიცი... ბავშვი გადარეული ბრუნდება, ველარ ვცნობ... მიყვირის, რას არ მკადრებს... არ იყო ასეთი, ახლა კი... გაოგნებული ვარ, ველარ ვერევი, მეშინია, არ დამელუპოს... მეც თავს ველარ ვიკავებ, აღარ შემიძლია...

ქალი ბავშვური სლუკუნით ყვებოდა ამას, მე კი თვალწინ ახალგაზრდა კაცი მეხატებოდა.

ისიც მამაა!

დაარბენინებს 8 წლის ბიჭს მანქანით, არ აკლებს „გართობას" და ჩააგონებს, რომ დედამისი ცუდი ადამიანია (ხომ უნდა გაიმართლოს თავი, რომ შვილს ალიმენტს უხდის). „უთხარი დედაშენს, ველოსიპედი გიყიდოს, ფული ხომ მივეცი!"...

თვითონ, კარგი კაცია შვილის თვალში — ხალისიანი, კეთილი, გულუხვი. ციცქნა ბიჭსაც კი მეტი რა უნდა — გართობა, სეირნობა, საჩუქრები... და, რა თქმა უნდა, აღარ მოეწონება დედა, რომელსაც სულის ჭრილობა ჯერ ვერ მოშუშებია; არც შესაძლებლობა აქვს, რომ ყველა სურვილი დაუკმაყოფილოს, არც ვინმე დამხმარე ჰყავს, რომ შვილის აღზრდაში დაეხმაროს.

გაიმეორებს ამ ბიჭის მამაც ხალხურ სიბრძნეს — „... რომ შვილი სჯობდეს მამასა..."

მაგრამ... თავად განსაჯეთ მოსალოდნელი შედეგი.

ჩვენ კი, მასწავლებლები, ძალიან შევეცდებით, რომ ეს მეორეკლასელი ბიჭი გზას არ ასცდეს, თუმცა ყველაფერი მარტო ჩვენზე როდი იქნება დამოკიდებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩემი სტუმარი

ერთხელ მაყვალა მრევლიშვილი გურჯაანის ბიბლიოთეკაში ახალი წიგნის განხილვაზე მიიწვიეს. იქიდან მე მესტუმრა ორიოდე დღით. ჩვენი სოფლის ეკლესიის სანახავად წავედით.

დეკემბერი იდგა. მაგრამ ცაზე ღრუბლის ნაგლეჯიც არა ჩანდა. მზე ანათებდა და თბილოდა. ნელი, მშვიდი ნაბიჯით მივყვებოდით

— დიახ, დღეს ძალიან ლამაზია!.. — დავეთანხმე მე.

— მარტო სილამაზე არ არის. სხვა რაღაცაა კიდევ. ეს სივრცე, ფერები... გაჩუმდა, არაფერს აღარ ამბობდა, მაგრამ ესეც ეტყობოდა, რომ შესძრა მისი სული იმ გადასახედმა.

ისევ წავედით. მალე ფერდობი ავათავეთ

ფერდობს, თანდათან მაღლა-მაღლა მივიწევდით. უცბად, მაყვალა შემობრუნდა — თითქოს თავისი გავლილი გზის დანახვა უნდოდა. შემოვბრუნდი მეც. ქვემოთ მოჩანდა ბალდადივით გაშლილი ალაზნის ველი და კავკასიონი.

იისფერი იყო მთები, მუქი იისფერი. წვეროებზე კი თოვლი ეფარა. წმინდა. კრიალა სივრცეში კანთიელად ჩანდა. არსად ნისლი და ჯანლი არ ებურა. ესე იცის ხოლმე გვიან შემოდგომაზე და ზამთარშიც, როცა კარგი ამინდია.

განვაგრძეთ გზა. ცოტას გავივლიდით, ისევ შემოვბრუნდებოდით. ისევ გავხედავდით მთებს. მთები კი, თითქოს თან მოგვდევდნენ, ზემოთ მოიწევდნენ, მაღლდებოდნენ.

ერთხელ კიდევ შემოვბრუნდით და შევჩერდით. უყურებს მაყვალა მთებს, უყურებს და მეუბნება:

— რა გინდოდა ჩემგან, რად წამომიყვანე?

— რა არის, შეუძლოდ ხომ არა ხარ? — ვეკითხები შეშინებული.

— არა, მაგრამ არ გინდა, ამ მთებს უყურო! ვერ ვუძლებ. ათას ადგილას ვყოფილვარ და ასეთი რამ არ მინახავს!..

და ტყეს შევეფარენით. ვიწრო ბილიკს მივდევდით გაბრუებულები სიჩუმით და ძირს დაცვივნული ფოთლების სურნელით.

— არ გეშინიან? — ჩუმი, იდუმალი ხმით მკითხა მაყვალამ.

— რისა უნდა მეშინოდეს, ეს ხომ ჩემი მხარეა. აქა ვარ გაზრდილი. ნურც თქვენ შეშინდებით. ცოტაც და გავალთ!

მართლაც, მალე გავლიეთ ბილიკი და კიდეც გამოჩნდა მთებით შემოფარგლული ძველი, ქართული ტაძარი. ჯერ შორიდან ვუყურეთ, დიდხანს ვათვალიერეთ მისი სარკმლები, კამარები, მერე შიგაც შევედით. იქაც კარგახანს დავრჩით, გარეთ რომ გამოვედით, მზით გამთბარ საფლავის ქვაზე ჩამოვსხედით. ირგვლივ ტყე იყო და უკაცრიელობა.

— რა მდუმარებაა! მაგრამ თუ ყურს დაუგდებ, მაინც ისმის რაღაცა, შეუცნობელი და გაურკვეველი, — თქვა მაყვალამ.

— დიახ, თითქოს სიჩუმეც ხმაურობს, — დავუდასტურე.

იქიდან ხევში ჩავედით. კლდის ძირას პატარა, ჯამფილის ოდენა, კამკამა წყაროსთვალი იდგა. კლდეში ჩამოზრდილ, რომელიღაც მცენარის ღეროს ჩამოსდევდა თითო წვეთი და ძირს წკაპუნით ეცემოდა.

მაყვალა გაოგნებულივით იდგა: წყაროსთვალს ჩაჰყურებდა და ყურს უგდებდა წვეთების წკაპუნს. უცბად მლოცველივით დაიჩოქა. მუხლებით მიწას დაეყრდნო, მოკუმა ტუჩები, დაეწაფა და მოსვა ცოტაოდენი. მერე ადგა და თქვა:

— სულ სხვანაირია. თითქოს მიწის გემო აქვს.

— რა თქმა უნდა. სხვანაირია, ეს ხომ უკვდავების წყაროა! — ვიხუმრე მე.

მაყვალამ გაიღიმა თავისებური ლამაზი ღიმილით.

მალე ისევ გავიარეთ ტყეს შეფარებული ბილიკი და თავქვე დავეშვით. ახლა პირდაპირ ვუყურებდით მთებს. ჩვენს თვალწინ იყო რაღაცნაირი, დიდებული, თან იდუმალი სანახაობა.

ფერდობი რომ ჩავიარეთ, საურმე გზაზე შუახნის ლოყებღაჟღაჟა დედაკაცი შემოგვხვდა, ახალგამომცხვარი შოთები მიეხუტებინა გაფუებულ მკერდზე.

— უყურე, რა შოთებია! — დაიჩურჩულა მაყვალამ.

— მშვენიერი წვერები აქვს! — დავეთანხმე მეც.

— მიირთვით, გენაცვალეთ, მიირთვით! — შემოგვთავაზა დედაკაცმა.

— არა, ჩვენ ისე ვთქვით, — დაიმორცხვა მაყვალამ.

— მიირთვით, განა სირცხვილია, თბილი პური მკვდარსაც მოუნდება — დედაკაცმა ერთი კარგი შოთი ჯერ ჩემ სტუმარს მიართვა, მერე მეც გამომიწოდა.

— ერთიც საკმარისია, რად ირჯებით, — მოიბოდიშა მაყვალამ.

— მიირთვით. მარტო ამის ანაბარა კი არა ვარ, მეზობელთან ვაცხობ. ერთი თონე კიდევ დასახდელი მაქვს.

— გმადლობთ, ბარაქა ნუ მოგიშალოთ ღმერთმა! — დალოცა მაყვალამ, მერე შოთი განზე დაიჭირა და ისე გახედა.

— უყურე, რა ლამაზია. ახალ მთვარესა ჰგავს: წვერები წვრილი აქვს, შუაში განიერია. ქართლში მრგვალ-მრგვალ პურებს აცხობენ, იმათ სავსე მთვარეს მიამსგავსეს.

— მართალია, ბუნებას ბაძავდა ძველი ხალხი: ბევრ რამეში იყენებდნენ ციური სხეულების თუ ყვავილების ფორმას, — მეც გამოვთქვი ჩემი აზრი.

ლაპარაკ-ლაპარაკით შევედით უბანში. ჩემს სახლთან, ღობეს იქიდან ომგადახდილი ჯმუხი კაცი — ვანო ბეზარაშვილი და თავისი ცოლი — გამხდარი, კაბაში ჩალაკლაკებული ქალი, საბოსტნე ადგილს ასუფთავებდნენ, ფოცხით ხვეტავდნენ ხმელ ფოთოლსა და კაჭაჭა ბალახებს. იქვე ცეცხლიც წაეკიდებინათ, იკლიბაკლოდ ადიოდა მაღლა ლურჯი ბოლი.

მაყვალა მიესალმა კაცსა და ქალს. ქალმა მხოლოდ თავი დაუქნია სალამზე, კაცმა კი ღობიდან ჭაფით დაკოჟრილი ხელი გადმო-

ყო ჩამოსართმევად. თან ჰკითხა როგორ ბრძანდებითო. სტუმარმაც მოიკითხა და გაიბა საუბარი.

ვანო გულუბრყვილოდ ეკითხებოდა რაღაც-რაღაცეებს. უფრო მეტად კი თავის ომში ნატკენ ფეხს ახსენებდა.

— მე და ჩემმა ღმერთმა, აღარა ღირს სიცოცხლე. ძლივს დავათრევ ამ რკინას, თან ჯოხს ურტყამდა წვივის ქვემოთ ჩადგმულ პროთეზს.

— რას იზამთ, გული არ უნდა გაიტეხოთ, — ანუგეშა პოეტმა, თან დასძინა. — ზოგი კიდევ ხომ იქ დარჩა.

— მართალია. ისინი უფრო ცოდონი არიან, მაგრამ ესეც სატანჯველია. წამოდით, იმათი შესანდობარი დავლიოთ! ქვევრს ავხდი, — ალალად თქვა ვანომ.

— ჩვენ ღვინოს არა ვსვამთ, — თითქმის ორივემ ერთად ვუპასუხეთ სიცილით.

— თითო ჭიქა, რა მოხდება, წამალია!

— კარგი, კაცო, ნუ შეაბეზრე! — დატუქსა ცოლმა ვანო. ვანო ჯოხით წადგა და ცოლს რაღაც უჩურჩულა.

ქალი წავიდა. ვანოს კი ეტყობოდა ლაპარაკის საღერღელი ჰქონდა აშლილი, ისევ ეკითხებოდა მაყვალას.

— აი, თქვენ ხო მწერალი ხართ, ბრძენი, ერთი მითხარით, რად მოახდინეს ეგეთი ხოცვა-ჟლეტა? რომ გამახსენდება, ლამის სიგიჟემდე მივიდე... — კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ქალი მოვიდა. თან პატარა შეკრულა მოიტანა და სტუმარს გადაუწოდა ლობიდან.

— გმადლობთ, რად ირჯებით!

— დიდი არაფერია, ცოტაოდენი ჩამიჩი და ღელვის ჩირია, ჩვენებური, თონეში შემწვარი.

— აბა, მე რიღათი გასიამოვნოთ, — მოკრძალებით ჩამოართვა მაყვალამ.

— სტუმარი ბრძანდებით, ჩვენ მოვალენი ვართ!... ომახიანად გადმოილაპარაკა ლობიდან ვანომ...

ის ღამე ძველებურ აივნიან სახლში გავათენეთ. შუაღამემდე გაღუღუნებულ ღუმელთან ვისხედით, დილით კი რკინიგზის სადგურზე წასასვლელად გამზადებულები ცოტა ხანს აივანზე შევჩერდით, ეზო-ყურეს გადავხედეთ. ღამე თრთვილი დაედო. მიწა, ხეები თეთრი ბუსუსებით შეფიფქილიყო და ახლადამოსულ მზის სხივებზე ბრწყინავდა. აივნიდან მთებიც მოჩანდა. დილით უფრო ლამაზი იყო, ცინცხალი. მაყვალა უყურებდა მიწას, ხეებს და ამბობდა:

— თქვენ თვალი მიჩვეული გაქვთ, იცით, რა კარგია აქაურობა?

— ჩამობრძანდით ხოლმე, როცა გინდათ, თქვენთვის მუდამ ღიაა ჩემი ძველი სახლის კარები, — ვეუბნებოდი ხვეწნით.

შევყურებდი სიამაყით, ვგრძნობდი, რომ მასთან ერთად თითქოს ყველაფერი უკეთესად დავინახე: მთები, ჩემი ძველი სახლის ჩუქურთმები, დეკემბრის მზის სხივებზე აბრჭყვიალებული სპეტაკი თრთვილი და ვნატრობდი გულში, რომ როდისმე კიდევ ჩამოსულიყო ჩემთან.

ნინო ბეჟარაშვილი



ჭირსა შიგან გამაგრება

მარიკა ბარათაშვილი

# გმირობისა და მეგობრობის დიდი გამოცდა

გ. გაბუნიას ფოტოები



ხობის რაიონი, სოფელი საგვიჩაო

რამდენი რამ ითქვა, რამდენი დაიწერა იმ ტრაგიკულ დღეებზე, ჩვენი ხალხის გმირობაზე და სიკეთეზე, ჩვენი მეგობრების ჭეშმარიტად დიდ, კეთილ მეგობრობა-მეზობლობაზე, მაგრამ ალბათ იმდენი და ისე მაინც ვერ ითქვა, რაც მოხდა, რაც გაკეთდა.

საქართველოს ცხოვრების ჟამთაღმწერლებმა უმძიმესი ამბები შემოგვინახეს მტრის ურდოების შემოსევებზე, ჩვენი სოფლებისა და ქალაქების არაერთგზის აკლება-გაპარტახებაზე, მაგრამ მაშინ ხალხი ხალხს ერკინებოდა, ადამიანი — ადამიანს, ახლა კი, სწორედ იმ მთებმა, რომლებსაც შეჭირვების ჟამს თავს ვაფარებდით, რომელთა თვალწარმტაცი მწვერვალების სიყვარულით „დაპყრობა" დაბადებითვე იტაცებდა უკეთესთა შორის უკეთეს რაინდებს, იმ ცამ, რომლისკენაც არაერთი და ორი კოშკი გვიმაღლებია და სიყვარულის საგალობლები აღგვივლენია, უეცრად შეიკრეს შუბლი და საშინელი რისხვა ზვავებად, მეწყრებად და კოკისპირულ წვიმებად დაგვატეხეს...

თოვლის სამარხში აღმოჩნდა ასობით სოფელი, ზვავებმა, მეწყრებმა, წყალდიდობამ შეიწირეს ადამიანები, შთანთქეს, წალეკეს და დატბორეს სახლები, ფერმები, გზები, სავარგულები, ხიდ-ბოგირები...

და ამ თავაწყვეტილ, გაავებულ სტიქიას საკუთარი სიცოცხლის რისკით, გმირული თავგანწირვით შეებნენ ადამიანები...

...ფეხზე დგანან მთელი რესპუბლიკა და მისი მეზობელ-მეგობრები.

...შტაბები, საგუშაგოები, უძინარი, ნერვებად და ნებისყოფად ქცეული ადამიანები, განუწყვეტლივ რეკს ტელეფონი — ქუდზე კაცს უხმობენ სვანეთი, ლეჩხუმი, სამეგრელო, იმერეთი, აფხაზეთი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი, სამხრეთ ოსეთი.

ამერში თუ იმერში, ყველაზე მტკივნეულ ადგილებში, სადაც ყველაზე დიდი გაჭირვებაა, იქ არის რესპუბლიკის ხელმძღვანელობა.

...გარესამყაროს მოწყვეტილ, მთების ძირას თოვლის სითეთრეში ღრმად ჩამარხულ სოფლებს დღედაღამ შეუსვენებლივ დატრიალებენ თავს ვერტმფრენები, სიცოცხლეს ეძებენ ამ მდუმარებაში, რომ მიაწოდონ მას გადარჩენის იმედი, სურსათი, ტანსაცმელი, მედიკამენტები.

...მათკენვე მიიკვლევენ ბილიკებს მაშველთა ჯგუფები, თუმცა ყოველწუთს მოსალოდნელია თავადაც ჩაიმარხონ ახალი ძალით მომსკდარ ზვავებსა და მეწყრებში.

...ჯვარი-ხაიში-მესტიის მიმართულებით თოვლის სიღრმეში გათხრილი გვირაბით მიუყვებიან ბულდოზერები გზას სვანეთის მთებისაკენ მაშინ, როცა მაგისტრალიდან ათეული სანტიმეტრით აცდენაც კი უფსკრულში შთანთქმით იმუქრება.

მუხლჩაუხრელად მიიწევენ ადამიანები თოვლის შემზარავ საუფლოსაკენ. მუხლჩაუხრელად, საათობით დგანან გაავებულ მდინარეებში. ასე გადაარჩინეს იმ გმირებმა ათასობით ადამიანის სიცოცხლე.

ლეგენდად დარჩა ხალხის გულში აზერბაიჯანელი 20 წლის ჭაბუკის რაჰიმ მამედოვის გმირობა, 28 ადამიანი რომ გამოსტაცა ხელიდან სიკვდილს საკუთარი სიცოცხლის ფასად.

ვფიქრობთ იმ გმირულ დღეებზე და ერთხელ კიდევ ვრწმუნდებით, რომ კაცთა ბუნების ყველაზე დიდი და უტყუარი ნიჭი სიკეთეა და კაცურკაცობა.

ამ სიკეთემ და კაცურკაცობამ გაუღო სტიქიისაგან დარბეულებს გულშემატკივართა ბინისა და გულის კარი.

ათასობით ლტოლვილი შეიფარეს მარნეულმა, ბოლნისმა, დმანისმა, უდაბნომ. ოჯახებმა, წლობით რომ მოუთმენლად ელოდნენ ახალ ბინებს და საცხოვრებელი სახლების სართულების ზრდას შეჰხაროდნენ, თავიანთი კუთვნილი სიხარული უსახლკაროდ დარჩენილებს დაუთმეს და სიყვარულით, სითბოთი და ზრუნვით შემოსეს.

წამით არ წყდება თანაგრძნობისა და თანადგომის ნაკადი. არ დარჩენილა წარმოება, დაწესებულება, მეურნეობა, ოჯახი თუ ცალკეული ადამიანი, რომ თავიანთი დანაზოგებიდან თუ საარსებო სახსრებიდან არ გაეღოთ წვლილი სტიქიით დაზარალებული რაიონების, სოფლების, ოჯახების დასახმარებლად.

...მდინარეები თითქმის უკვე დაუბრუნდნენ ძველ კალაპოტს, მხოლოდ ვერტმფრენები და მაშველთა ჯგუფები განაგრძობენ ძებნას, ცდილობენ მიაკვლიონ ზვავებში ჩამარხულ სოფლებს. ვერც სინოპტიკოსები მშვიდდებიან, რადგან თოვლის დნობა ჯერ კიდევ წინ არის და არც ბუნების ჭირვეულობებისგან ვართ დაზღვეულნი.

მიმდინარეობს დაძაბული მუშაობა — მდინარეთა ჯებირების გამაგრება, გზების, ხიდების, დანგრეული კომუნიკაციების მოწესრიგება-აღდგენა, შენობების შეკეთება...

არც თანაგრძნობისა და თანადგომის ნაკადი ნელდება. ადამიანები კვლავ თავაზობენ დაზარალებულებს საკუთარ ჭერს, მზად არიან იშვილონ დაობლებულნი.

მილიონობით თანხა ჩაირიცხა და ირიცხება დარბეული რაიონებისა და დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად.

დიდძალი სახსრები და საშენი მასალა გამოუყვეს მათ საკავშირო მთავრობამ, რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ, მოძმე რესპუბლიკებმა, უწყებრივმა სამინისტროებმა.

* * *

...ისე მოულოდნელად, უეცრად დაატყდათ ადამიანებს თავს ეს უბედურება, რომ ჯერაც ვერ გამორკვეულან რა მოხდა, რა მოუვიდათ. თვალცრემლიანი გასცქერიან სივრცეს... იქ, მშობლიური სვანეთის მთებში ზვავებმა დაიტანა მათი სიხარული — ბევრი მათგანის ოჯახის წევრი თუ ახლო ნათესავი, მეზობლები, მოკეთეები, მათი წვითა და დაგვით ნაშენებ-ნამშვენები სახლკარი და საცხოვრებელი.

ოღონდ ამ მწვავე იარებს მალამოდ ედება ფიქრი ადამიანთა სიკეთეზე. თურმე აქამდე კიდევ არ სცოდნიათ, თუ რა ძვირფასი ყოფილან ისინი, შორეულ, ძნელმისავალ მთებში მცხოვრებნი საქართველოს ყოველი კუთხისათვის, ერთობლივ ჩვენი ქვეყნისათვის.





● აღდგენითი სამუშაოები დაიწყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარკომანიას—დაუნდობელი ბრძოლა

# „ჭირთა უჭირესი"



„დამალული ჭირი ძნელია, პირდაპირ მოსულს, როგორც იქნება, შეეჭიდება კაცი" — ილია ჭავჭავაძის ეს სიტყვები გაგვახსენდა, როცა „ჭირთა უჭირეს სენზე" — ნარკომანიაზე გადავწყვიტეთ წერილის დაწერა.

ჩვენს ქვეყანაში ნარკომანიას სოციალური მიზეზები არ გააჩნია, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მის წინაალმდეგ არ ვიბრძოლოთ, მითუმეტეს, რომ ნარკომანიის გავრცელების არე გაიზარდა, რესპუბლიკაში არ არის რაიონი, სადაც რამდენიმე შემთხვევა მაინც არ შეინიშნებოდეს. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ უკანასკნელ წლებში მომრავლდნენ უსინდისო და სახედაკარგული ადამიანები, რომლებიც ხელს ითბობენ ნარკოტიკულ საშუალებებზე „ცოფიანი ფულის" გასაკეთებლად, თავისთავად ცხადია, ძალზე სერიოზული პრობლემების წინაშე ვდგავართ.

რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოები დიდი ხანია იბრძვიან ამ საშიში სენის ალმოსაფხვრელად. ბევრი დამნაშავე — ნარკოტიკების შეძენაში, შენახვაში, გადაზიდვაში, გადაგზავნაში, გასაღებაში შემჩნეული პირი მხილებულია და მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

კანონის მთელი სისასტიკით ისჯებიან ნარკოტიკულ ნივთიერებათა შემცველი კულტურების მომყვანნი, აგრეთვე ისინიც, ვინც ბუნაგს აწყობს და სხვებსაც ითრევს ამ საშიშ საქმეში.

ბოლო წლებში ადმინისტრაციულმა ორგანოებმა მკაცრად შეუტიეს ნარკომანიის გამავრცელებლებს. სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრმა ა. ვლასოვმა განაცხადა, რომ ნარკომანიასთან ბრძოლამ უკვე გამოიღო პირველი დამაიმედებელი შედეგები. ინტერვიუშიც, რომელიც ცენტრალურ პრესაში გამოქვეყნდა, მან აღნიშნა, რომ ამასწინანდელი ოპერაციის შედეგად განადგურებულია ყაყაჩოსა და სხვა ნარკოტიკული მცენარეების უკანონო ნათესები. დაპატიმრებულნი არიან ნარკოტიკების გამსაღებლები და ნედლეულის დამამზადებლები.

მინისტრმა თქვა, რომ, კაპიტალისტური ქვეყნებისაგან განსხვავებით, ამ ბოროტებას (ნარკომანიას) ჩვენში არა აქვს სოციალური საფუძველი, იმ დროს, როცა აშშ-ში, ოფიციალური მონაცემებით, 30 მილიონზე მეტი ნარკომანია.

ვინ არიან ის გარეწრები, შავი ფულით საკუთარი ჯიბის გასქელებას რომ ფიქრობენ?

1986 წლის მარტის სუსხიანი დილაა. მსუბუქი ავტომანქანა მარჯანიშვილის ქუჩიდან პლეხანოვის პროსპექტზე გამოვიდა და ჩვეულებრივი სვლით, ისე რომ მძღოლს წესრიგი არ დაურღვევია, გზა განაგრძო. ავტომანქანამ ლენინგრადის ქუჩაზე რომ ჩაუხვია, მილიციის კაპიტანმა გააჩერა.

— რა იყო, მეგობარო, ნებადართული სიჩქარით მივდივარ, წითელ შუქზე არ გამივლია, არც წესრიგი დამირღვევია. იქნებ ვინმეში შეგეშალეთ. ან კიდევ... და ქალმა კეკლუცად გაიღიმა...

— მანქანა დასვრილია. ასე გამოსვლა დედაქალაქის ქუჩებში აკრძალულია. გარდა ამისა, მანქანის წინა ფარი შეღუნულია. თქვენი საბუთები გვიჩვენეთ.

— ჰო გეთანხმებით, მანქანა მართლაც დასვრილია. მაგრამ შორი გზიდან, ფოთიდან მოვდივარ...

— გთხოვთ საბუთები წარმოგვიდგინოთ. — გაიმეორა მილიციის კაპიტანმა და ხმაში სუსხი გაერია.

ახლა კი იკადრა ქალმა მანქანიდან გადმოსვლა. ძვირფასად გამოწყობილი, ორმოცი წლის ლამაზი ქალი მაცდურად, თვალისმომჭრელად გამოიყურებოდა, უნდოდა თავისი გარეგნობით გავლენა მოეხდინა კაპიტანზე, მაგრამ თვალი რომ შეავლო მის მკაცრ სახეს, იძულებული გახდა საბუთები გადაეწოდებინა.

— ილა ლაზარეს ასული ჩიჯავაძე, მცხოვრები ქალაქ ფოთში, — ამოიკითხა მილიციის კაპიტანმა.

— ქალბატონო, თქვენ ჩვენთან, ქალაქის მილიციის სამმართველოში უნდა წამობრძანდეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაო? მილიციის სამმართველოში, — აპილპილდა ჩიჯავაძე და ზაფრანის ფერმა გადაჰკრა, — თუ მართლა წესრიგი დავარღვიე, ჯარიმას გადავიხდი. ქალმა ხელჩანთა გახსნა, ოცდახუთმანეთიანების შეკვრიდან ერთი ცალი ამოაძრო და მილიციის კაპიტანს ცხვირწინ აუფრიალა.

— დამშვიდდით, ნუ ღელავთ. ყველაფერი გაირკვევა. თქვენ მანქანის უკანა სალონში გადაჯექით. მანქანას მილიციის ლეიტენანტი წაიყვანს. თქვენი შეხვედრა მილიციის მუშაკებთან პირველი ხომ არ არის.

სანამ მილიციის მუშაკები ილა ლაზარეს ასულ ჩიჯავაძეს მილიციის სამმართველოში მიიყვანენ, მკითხველს გვინდა გავაცნოთ იგი.

„ქალი თმიანი, მწვადი ცვრიანი“, — ხშირად უყვარდა ამის თქმა ილა ჩიჯავაძეს. და მართლაც, მთელი თავისი ახალგაზრდობა მუქთახორობასა და პარაზიტულ ცხოვრებაში გაატარა. ბოლოს, როგორც იტყვიან, „სამართალმა პური ჭამა“ და ილა ჩიჯავაძეს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლომ 1972 წელს სპეკულაციისა და ქურდობისათვის 3 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

სასჯელის მოხდის შემდეგაც არ დაადგა გამოსწორების გზას ჩიჯავაძე, კვლავ უშრომელი შემოსავლით ცხოვრება გადაწყვიტა და კვლავ სამსჯავროს წინაშე წარსდგა. ფოთის სახალხო სასამართლოს 1976 წლის 30 სექტემბრის განაჩენით მეორედ გაასამართლეს სპეკულაციისათვის.

მეორე სასჯელის მოხდის შემდეგაც ვერ მოეგო გონს ილა ჩიჯავაძე, კვლავ მოხეტიალე ცხოვრებას მიჰყო ხელი და მესამედ გაასამართლეს ნარკომანობისათვის — ბათუმის რაიონის სახალხო სასამართლოს 1983 წლის 12 სექტემბრის განაჩენით 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

პირდაპირ ვიტყვით, 1986 წლის 20 მარტს ილა ჩიჯავაძის თბილისში დაკავება შემთხვევითი არ ყოფილა. მილიციის მუშაკებისათვის ცნობილი იყო, რომ ფოთიდან თბილისში, საკუთარი ავტომანქანით სარეალიზაციოდ მოჰქონდა ნარკოტიკული ნივთიერებები. ჩიჯავაძე 19 მარტს თბილისში ჩამოვიდა. ღამე გაათია ნინოშვილის ქუჩაზე № 42 სახლში ვინმე მანანა მგელაძესთან, რომელიც მეორე დღეს დააკავეს.

ახლაც მილიციის სამმართველოში ილა ჩიჯავაძეს თავი თავხედურათ ეჭირა. იმუქრებოდა, თვითნებური დაკავებისათვის პასუხს გაგებინებთო, მერე რა, რომ წინათ ნასამართლევი ვარ, ამჟამად პატიოსან ცხოვრებას ვეწევი და არავითარი დანაშაული არ ჩამიდენიაო. მართლაც, ჩიჯავაძეს ავტომანქანისა და პირადი ნივთების გაჩხრეკისას არაფერი აღმოაჩნდა.

არც განმეორებითმა, გულდაგულმა ჩხრეკამ გამოიღო შედეგი. არადა, განთქმა საკმარისი არ არის პასუხისმგებლობისათვის, თუმცა იცი, რომ შემჩნეული პირი აშკარად სისხლის სამართლის დამნაშავეა. მაგრამ მტკიცებების არარსებობის გამო, იძულებული ხარ საშიშ დამნაშავეს კარი გაუღო და გზა დაულოცო...

გადაწყდა, ილა ჩიჯავაძე საგულდაგულოდ გაეჩხრიკათ, რაც სამმართველოს მუშაკ ქალებს დაევალათ. უხერხულია იმის თქმა, საიდანაც ქალს ამოუღეს ცელოფანის პატარა პარკით 8,2 გრ. ქლორწყალბადმჟავა მორფინი, აქედან მზადდება 820 ცალი ნარკოტიკული 1 მლ ამპულა.

თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით ილა ჩიჯავაძეს 15 წლით შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა, საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით, ქონების კონფისკაციით.

კრასნოდარის ოლქის ქ. კორენოვსკის მცხოვრები ა. კრასნოშჩიოკი სტუმრად ეწვია რუსთავში მცხოვრებთ ა. ბედარევს, ა. კუკოტინს, ი. ნიკიტენკოს და თავის ბიძაშვილს, რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის ელექტრიკოსს ვ. კრასნოშჩიოკს.

ა. კრასნოშჩიოკმა 2 კგ ნარკოტიკული ნივთიერება ჰაშიში ჩამოიტანა რუსთავში და 1 კგ კუკოტინსა და ნიკიტენკოს მიჰყიდა, რომლებსაც 2000 მანეთი უნდა გადაეხადათ. დანარჩენი ჰაშიში მან შესანახად გადასცა ა. ბედარევს, რომელმაც ნაწილი თვითონ მოიხმარა, ნაწილი კი შეინახა.

შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებს ეს ამბავი არ გამოპარვიათ. დამნაშავენი დააკავეს. მათი დანაშაულის თანამონაწილე გახდა ა. კუკოტინის მეუღლე ლიუბოვ ბოროდულინა. მან იცოდა, რომ ქმარმა ნარკოტიკული ნივთიერება სარდაფში დამალა და დანაშაულის დასაფარავად გაანადგურა.

დამნაშავენი მკაცრად დაისაჯნენ: ვ. კრასნოშჩიოკს 13 წლით, ა. კრასნოშჩიოკს — 11 წლით, ა. კუკოტინს — 10 წლით, ი. ნიკიტენკოს — 13 წლით, ა. ბედარევს — 6 წლით, ლიუბოვ ბოროდულინას 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ, რაც ამ უკანასკნელს იმავე ვადით პირობითი სასჯელით, შრომაში სავალდებულო ჩაბმით შეეცვალა.

კიდევ უფრო სავალალოა, როდესაც ნარკოტიკული ნივთიერებების გასაღებას და ნარკომანიას ისეთი ქალები ეწევიან, რომელთაც პატარა ბავშვები ჰყავთ.

ნინელი ვლადიმერის ასული გედენიძე ახალგაზრდა ქალია, ორი შვილის დედა, ქმარს გაშორებული, ცხოვრობდა წულუკიძეში, ჭავჭავაძის ქუჩაზე № 2-ში, მუშაობდა რაიპოლიკლინიკის ლაბორანტად.

ლუდმილა მანუკოვაც ქმარშვილიანი ქალია. ისიც წულუკიძეში ცხოვრობდა, ჟდანოვის ქუჩაზე, წინათ ნასამართლევია.

ნინელი და ლუდმილა მეგობრობდნენ. შარშან ისინი თბილისს ეწვივნენ. ნინელი გედენიძემ გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან გასასაღებლად შეიძინა 2 გრ მორფინი, აქედან 1 გრ თავის „დაქალს“ ლუდმილას მიჰყიდა და იმავე დღეს დაბრუნდა წულუკიძეში. ლუდმილა მანუკოვამ როგორც კი მორფინი მიიღო, იმავე დღეს მილიციის მუშაკებმა დააკავეს ქუჩაში, ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედებით გაბრუებული. მას ჩამოერთვა ნინელი გედენიძისაგან შესყიდული ნარკოტიკების ნაწილი — 0,6 მლ მორფინი; 0,4 მლ მორფინი კი მიღებული ჰქონდა.

რამდენიმე დღის შემდეგ მილიციის მუშაკებმა ნინელი გედენიძეც დააკავეს იმ დროს, როდესაც ის წულუკიძე-სოხუმის ავტობუსით სოხუმში მიემგზავრებოდა. ჩხრეკის დროს აღმოაჩნდა 10 შეკვრა მორფინი, რომელიც გასასაღებლად მიჰქონდა.

სასამართლოს განაჩენით ნინელი გედენიძეს 7 წლით, ხოლო ლუდმილა მანუკოვას 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ.

ნარკომანია სხვა დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობაა. ჭიათურაში „ავარიონის“ დასახლების მცხოვრებ ვარდენ საყვარელიძეს ბინაში აღმოუჩინეს შენახული ნარკოტიკული ნივთიერებები, რომლებსაც იღებდა 1975 წლიდან. ვ. საყვარელიძემ დაიახლოვა მის მეზობლად მცხოვრები მცირეწლოვანი გოგონა მ. შ. ერთ დღეს მოტყუებით შეიყვანა ბინაში, მოაწევინა ნარკოტიკული სიგარეტი, რამაც გოგონა გააბრუა და უმწეო მდგომარეობაში მყოფი გააუპატიურა. საყვარელიძემ თავისი ბილწი სურვილი რომ შეისრულა, ბინიდან გაშვების წინ გოგონა გააფრთხილა: მოგკლავ და მშობლებსაც ამოგიწყვეტავ, თუ ვინმესთან გაამხილეო. გოგონამ რომ გაიგო საყვარელიძე რამდენჯერმე ნასამართლებიაო, შეშინდა და მთლიანად დაჰყვა მის გავლენას.

სასამართლოს განაჩენით ვ. საყვარელიძეს 14 წლით შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა, აქედან 5 წელი საპყრობილეში მოხდით, 9 წელი მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

ნარკომანმა იგორ სედიკმა ბინაში შეიტყუა მერვეკლასელი ორი გოგონა და მათი გაუპატიურება მოინდომა. წინააღმდეგობას რომ წააწყდა, დანა იხმარა. ერთმა დაჭრილმა გოგონამ მოახერხა და თავს უშველა. მეორე იქვე გარდაიცვალა. როცა მილიცია შემთხვევის ადგილზე მივიდა, მკვლელი ღრმა ნარკოტიკულ ძილში იყო.

ერთმა ნარკომანმა ქალმა, რომელიც ნარკოტიკებით იყო მთვრალი, ძუძუთა ბავშვი მეშვიდე სართულის აივნიდან გადმოაგდო.

კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ ზოგჯერ ნარკომანები არიან ჯანმრთელობის დარგის მუშაკები და, ისიც, — ქალები!

ლილია პიგარევა ექიმია. ის იმ დროს დააკავეს, როდესაც ნარკომანებს თავის ოჯახში უკეთებდა ნემსებს.

თბილისის პირველი მაისის რაიონის ექიმი მანანა აფრაიძე სამართალში მიეცა და გასამართლდა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 252 მუხლის მეხუთე ნაწილით — ნარკოტიკულ ნივთიერებათა წარმოების, შეძენის, შენახვის, აღრიცხვის, გაცემის, გადაზიდვის ან გადაგზავნის დადგენილი წესების დარღვევისათვის. იგი სათანადოდ დაისაჯა.

[ნა]რკომანები ჩვენს გვერდით ცხოვრობენ და მოქმედებენ. არ შეიძლება მათ მიმართ გულგრილნი დავრჩეთ.

ბრძოლა, დიდი ბრძოლაა საჭირო!

**ზაალ მესენგისერი,**
**საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი.**

## იუმორი

# ასეთებიც არიან...

ზოგი ქმარი ცოლისადმი
ზრუნვას მხოლოდ რვა მარტს იჩენს.
როცა მისთვის უშურველად
მართლაც ძვირფას რამეს იძენს.
ზოგს კი იმ დღეს უმნიშვნელო
საჩუქარი მოაქვს მუდამ.
მთელ წელიწადს ერთხელ მაინც
გულუხვობა როდი უნდა!
კაპიკსაც რომ ვერ იმეტებს.
ისეთებიც მეგულება,
მარტოოდენ ტკბილი სიტყვით
ეფიცება ერთგულებას.
აი, სწორედ ამგვარ ტიპებს
მივაკუთვნოთ უნდა ვილი. —
მეც გიშველი საქმეშიო, —
უთხრა ანას რვა მარტს დილით.



წმენდის დროს კი ეს გახსოვდეს მარტო.
სწორად უნდა დაიკავო პალტო.



მეცნიერულ საფუძველზე დგომა
რეცხვის დროსაც აიოლებს შრომას.



წინსაფარს თუ გამიკეთებ ახლა,
რა მარჯვეც ვარ, შენი თვალით ნახავ.



მისავათდა ბოლოს ჩვენი ბრძენი.
სავარძელში მიესვენა ქშენით.



საოჯახო წიგნში არის რჩევა,
ხორცი უკეთ როგორ იხარშება.



ამიტომაც ჭურჭლის რეცხვა ახლაც
მისთვის ისევ საიდუმლო გახლავთ.
ამ ხელში აიტაცა ვილი
და ლოგინში ჩააწვინა „გმირი“.



დაგვის წესი თუკი იცი სრულად,
მაშინ თურმე არ იღლები სულაც.

გაზეთ „ნოიეს ლებენიდან“ თარგმნა

**შ. ამირანაშვილმა**

## ახალგაზრდა დიასახლისებს

# რჩევები

### ლაქების მოცილება

1. ფისის ლაქები ქსოვილს ფრთხილად უნდა მოაფხიკოთ დანით, შემდეგ წაუსვათ ცხიმი ან ზეთი, ასე დატოვოთ მთელი ღამე და შემდეგ გარეცხოთ თბილ საპნიან წყალში. შალის ნაჭრიდან ლაქას მოაცილებთ ბენზინით, შემდეგ დარჩენილ ყვითელი ფერის ნაკვალევს კი — წყალბადის ზეჟანგით.

2. ზეთის საღებავისა და ლაქის (ანუ ოლიფის) ლაქები ძნელი მოსაცილებელია, როდესაც იგი ძველია. ამიტომ უნდა ეცადოთ მოაცილოთ დალაქავებისთანავე. ჯერ საღებავი უნდა მოაფხიკოთ დანით, შემდეგ კი გარეცხოთ ბენზინში.

3. ჟანგის ლაქები უფრო ადვილი მოსაცილებელია სელისა და ბამბის ქსოვილებისგან, ვიდრე შალისა და აბრეშუმისაგან ახალი ლაქები შეგიძლიათ მოაცილოთ ლიმონის მჟავის 10 პროცენტიანი ხსნარით. თუ ლაქები ძველია, უნდა გამოიყენოთ მჟაუნმჟავის 5%-იანი ცხელი ხსნარი. შეიძლება ქსოვილი წინასწარ ჩაალბოთ თბილ წყალში, რომელშიც ნიშადურის სპირტია ჩამატებული.

4. ცხიმის ახალი ლაქები ბამბისა და სელის ქსოვილებიდან შეგიძლიათ ამოიყვანოთ ცხელი საპნიანი წყლით, აბრეშუმისა და შალის ქსოვილებიდან კი შეგიძლიათ ასე ამოიყვანოთ: ტალკს ან კარტოფილის ფქვილს დააყრით დალაქავებულ ადგილზე, დააფენთ საშრობ ქაღალდს და გააუთოებთ თბილი უთოთი. ცოტა ხნის შემდეგ გაწმენდთ ჯაგრისით.

1. ხალიჩიდან ცხიმიანი ლაქის ამოსაყვანად ცხიმიან ადგილს უმჯობესია დააყაროთ ტალკი ან მაგნეზია და ასე გააჩეროთ 24 საათის განმავლობაში. ამის შემდეგ ფხვნილის ნარჩენები მოაცილეთ მტვერსასრუტით ან ცოცხით.

2. ტალახის ლაქები ხალიჩიდან (გაშრობის შემდეგ) შეგიძლიათ მოაცილოთ მტვერსასრუტით, შემდეგ კი გაწმინდოთ ძმრით.

3. ავეჯის გადასაკრავები (ტყავისა) და ბეწვეული უმჯობესია გაწმინდოთ საპნის ფხვნილისა და წყლისგან მომზადებული ფაფისებური მასით და უნდა ეცადოთ, რაც შეიძლება ნაკლებად დაასველოთ ტყავი. შეიძლება ამ ნარევს დაუმატოთ რამდენიმე წვეთი ნიშადურის სპირტი. გაწმენდის შემდეგ ბეწვეული კვლავ გაწმინდეთ სველი ნაჭრით და გაამშრალეთ.

„ბოსკოლდინი“ № 31, 85 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოდა-87





მხატვარ-მოდელიორები მ. დიდმელაშვილი და ნ. კობალაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კულინარია

## სალათი — „ტორტი“

ძალიან წვრილად (ძაფისებურად) დაჭრილ კომბოსტოს მოაყარეთ ცოტა მარილი, შესრისეთ, გაწურეთ, წვენი გადაღვარეთ, ხოლო კომბოსტო ააფუშფუშეთ და მოათავსეთ ლანგარზე ან ორ თეფშზე. ზემოდან დაახეხეთ (მსხვილი სახეხელით) კარტოფილი, შემდეგ ჭარხალი, ბოლოს სტაფილო (ყველა ფენას მოაყარეთ უმნიშვნელო მარილი და წვრილად დაჭრილი კამა), ზემოდან წაუსვით კრემის ნახევარი და შემდეგ ასევე გაიმეორეთ მეორე წყება, მხოლოდ, დარჩენილი კრემი წაუსვით ჭარხალს. სტაფილოს ბოლო ფენა კი მშრალი (უკრემო) იყოს. იგი წვრილად დაჭრილი ხახვით, კამითა და რგოლებად დაჭრილი კვერცხით მორთეთ, ეცადეთ სალათი ისე ლამაზად გამოიყურებოდეს, რომ ნამდვილ ტორტს ჰგავდეს.

## მასალა „ტორტისათვის“

ორ გაშლილ თეფშზე ან ერთ საშუალო ზომის ლანგარზე მოსათავსებელ „ტორტისათვის“ საჭიროა: 300 გრ უმი კომბოსტო, 4 ცალი (800 გრ) მოხარშული ჭარხალი, 300–400 გრ უმი სტაფილო, 500 გრ მოხარშული კარტოფილი, 3 ცალი მოხარშული კვერცხი, 1 კონა ახალი ხახვი, 1 კონა კამა. „კრემისათვის“ აიღეთ ორი ქილა მაიონეზი და 1 ჭიქა არაჟანი, მოათავსეთ ერთ ჭურჭელში, დაუმატეთ ნახევარ-ნახევარი ჩაის კოვზი დაფქვილი შავი პილპილი, უცხო სუნელი, ქინძი, ნახევარ ჩაის კოვზზე უფრო ცოტა მარილი და კარგად აურიეთ.

## ხორციანი ბლინი

ბლინის მოსამზადებლად 3 კვერცხი ათქვიფეთ ცილიან-გულიანად, დაასხით სამი ჩაის ჭიქა ცივი წყალი, დაუმატეთ ცოტა მარილი, 2 ჩაის ჭიქა ფქვილი და ისევ ათქვიფეთ კარგად. ცხელ ტაფას (ცომის ყოველი დასხმის წინ) მოუსვით ნებისმიერი ზეთი, შემდეგ დაასხით ზედ იმდენი ცომი, რომ დაიფაროს ტაფის ძირი და გააჩერეთ იმდენ ხანს, რომ გამოცხვეს (ცხვება ცალი მხრიდან). როდესაც დაამთავრებთ ბლინების ცხობას, შეუდექით ფარშის გახვევას, ერთი სუფრის კოვზი ფარში დადეთ ბლინის გამომცხვარ მხარეს და შეახვიეთ ტოლმისებურად. ბლინები სუფრაზე მიტანის წინ შეწვით (ნებისმიერ ზეთში).

**ფარშისათვის** 300 გრ ძროხისა და 200 გრ ღორის ხორცი მოხარშეთ ისე, რომ ძალიან არ ჩაიხარშოს. გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში 3–4 კბილ ნიორთან ერთად, შეაზავეთ შავი და წითელი პილპილით, მარილით (გემოვნებით), შეურიეთ შიგ ბულიონის ცხიმში მოშუშული (3–4 თავი) ხახვი და კვლავ შუშეთ 10-15 წუთის განმავლობაში, თან ურიეთ, რომ ქვაბმა ფარში არ მიიწვას, შუშვის დროს დაუმატეთ რამდენიმე სუფრის კოვზი ბულიონი, ფარში რომ რბილი და ფაფუკი გამოვიდეს.





## ვაშლის ღვეზელი

ოთხი ცალი კვერცხი ცილიან-გულიანად კარგად ათქვიფეთ ორ ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილში. დაუმატეთ 200 გრ კარაქი, ერთი ქილა (500 გრ) მაწონი, ნახევარი ჩაის კოვზი სოდა, დანის წვერით ვანილი და შეაზილეთ იმდენი ფქვილი, რომ მიიღოთ ფაფუკი ცომი. ცოტა ცომი მოათავსეთ ტორტის მოსართავ პარკში, დანარჩენი ცხიმწასმულ ცივ ყალიბში და გააბრტყელეთ ფქვილიანი ხელით. შემდეგ წაუსვით ვაშლის პიურე, მორთეთ მოსართავში მოთავსებული ცომით და შედგით გაზქურაში გამოსაცხობად.

**პიურე** მზადდება შემდეგნაირად: 6-7 ც ვაშლი (ანტონოვკა ან რომელიმე რბილი ჯიშისა) გათალეთ, დაჭერით წვრილად, მოათავსეთ ქვაბში, დაასხით 1/2 ჩაის ჭიქა წყალი, რომ ჩაიშუშება, კარგად ჩასრისეთ ხის კოვზით, დაუმატეთ შაქარი გემოვნებით და დადგით ნელ ცეცხლზე 15 წუთის განმავლობაში. კარგად რომ შესქელდება და ქარვის ფერს მიიღებს გადმოდგით, გააციეთ და ისე იხმარეთ ნამცხვრისათვის.

**ნინო არჩვაძე**

გარეკანის პირველ გვერდზე — მსახიობი თათია ხაინდრავა. ი. რიდალიოვის სლაიდი; მეოთხეზე — გაზაფხულის მახარობელი. დ. იაკობაშვილის ფოტოეტიუდი.

მთავარი რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი
Главный редактор МАРИКА БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია: ნ. ბურბენიძე, ლ. კაკაბაძე (პ. მგ. მდივანი) ნ. გაფრინდაშვილი, ზ. კვაჟაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, ნ. ჟვანია, პ. ულენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. შალუტაშვილი, ლ. შეწირული, ნ. ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ნ. ზუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, 380096. Тбилиси, Ленина, 14.
Адрес редакции: 380096, Тбилиси, Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, განყოფილებების: მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის 93-25-64 ლიტერატურისა და ხელოვნების 93-98-53, კულტურისა და ყოფაცხოვრების 93-98-50, მშრომელთა წერილებისა და მასობრივი მუშაობის 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. ტექნიკური რედაქტორის 93-98-58. საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 5. 02. 87 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 19. 03. 87 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო საგამომცემლო თაბახი 5,8.

Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 5,8. ტირაჟი 160.000 შეკვ. 353 უე 04850





განახლებული რუსთაველის თეატრის მაყურებელთა დარბაზი    გ. ვახტანგაძის ფოტო


ფასი 80 კაპ.
ინდექსი 7612
ეროვნული ბიბლიოთეკა
100-12
6127/65